პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 74 (19815) კვირა, 29 მარტი, 1987 წელი. ● ფასი 3 კაპ.

ჩვენს დიად სამშობლოში







გვატყობინებენ საკავშირო კორესპონდენტებიდან

● **ლენინაკანი.** მთის ვიწრო ხეობაში, ირგანაის ძველი აულის მახლობლად „ჩირკეიჰესშენის“ მიდრომშენებლები მდინარე სულაკზე აგებენ მორიგ ჰიდროელექტროსადგურს. მისი სიმძლავრე რვაასი ათასი კილოვატი იქნება.

გიმრინის ქედში გაჰყავთ ხუთკილომეტრიანი სატრანსპორტო გვირაბი, რომელიც თითქმის ასი კილომეტრით შეამცირებს გზას რკინიგზიდან მშენებლობის ადგილამდე.

სურათზე: აყენებენ ყალიბს სატრანსპორტო გვირაბის პორტალზე.

● **მოსკოვი.** მდიდარი და მრავალფეროვანი კოლექცია აქვს ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, რომელსაც წელიწადს 75 წელი უსრულდება. თავდაპირველად მუზეუმში შეგროვილი იყო ანტიკური ქანდაკებების თაბაშირის პირები, მალე იგი გადაიქცა უნიკალური არქეოლოგიური ნაპოვნების, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების, მარმარილოს და ბრინჯაოს ორიგინალური ქანდაკებების საგანძურად. დღეს მუზეუმი განთქმულია დასავლეთევროპული ფერწერისა და გრაფიკის ფასდაუდებელი კოლექციით. რემბრანდტის, რუბენსის, ტიციანის, ვან დეიკის, კოროს, ენგრის, დეგას, მანეს, ვან გოგის, პიკასოს ტილოები — აი ის დიდი მხატვრების არასრული ნუსხა, რომლებიც წარმოდგენილი არიან მუზეუმის დარბაზებში.

მთელი ამ სიმდიდრის შესანარჩუნებლად აქ გულმოდგინე სარესტავრაციო მუშაობა მიმდინარეობს.

სურათზე: უფროსი რესტავრატორი გ. გ. კარლსონი მუშაობს XIX საუკუნის ფრანგი მხატვრის ანტუან გროს სურათზე „ცხენზე ამხედრებული მთავრის ბ. ნ. იუსუპოვის პორტრეტი“.

● **ბელორუსიის სსრ.** მინსკის სკკპ XXV ყრილობის სახელობის „ინტეგრალის“ საწარმოო გაერთიანებაში განხორციელდა ტექნიკური განახლების მორიგ ეტაპზე გადასვლა — იქმნება მოქნილი საწარმოო სისტემები, რომლებსაც ახასიათებს ავტომატიზაციის მაღალი დონე, გამოთვლითი და ლაზერული ტექნიკის, რობოტების და სამრეწველო ტელევიზიის მანიპულატორების ფართო გამოყენება.

გაერთიანებაში შემუშავებულია საწარმოთა საამქროებისა და უბნების ტექნიკური განახლების მეთორმეტე ხუთწლედის ხანგრძლივი კომპლექსურ-მიზნობრივი პროგრამები.

ერთ-ერთი პროგრამა ითვალისწინებს 1990 წლისათვის ახალი ავტომატიზებული საამწყობო საამქროს შექმნას, სადაც იქნება ორასზე მეტი მოქნილი საწარმოო მოდული, რომლებსაც მართვის ავტომატიზებული სისტემა მართავს.

სურათზე: რობოტიზებული ხაზის დამონტაჟება.

რაიონული გაზეთები

ისინი შინაარსიანი და მეზრძოლი უნდა იყვნენ

ეფექტიანობა რაიონულ გაზეთ „ხელსაკეთების“ (ივანოვოს ოლქი) არაერთგზის დაუწერია ადგილობრივი საფეიქრო ფაბრიკის მუშათა შრომისა და ყოფის ცუდი პირობების შესახებ. ამას კი ან დუმილით უვლიდნენ გვერდს ან ბიუროკრატიულ პასუხს სცემდნენ. ამგვარ შემთხვევებში ზოგიერთი გაზეთის მუშაკი ფარ-ხმალს ჰკრავს: რა ვქნათ, ჩვენს ძალას აღემატებიო. ლეენინგოელ ჟურნალისტებს კი უკან არ დაუხევიათ. გაზეთმა გამოაქვეყნა ფაბრიკის მუშის წერილი სსრ კავშირის მხუბუჟი მრეწველობის მინისტრ ვ. კლუევისადმი, სადაც ყველა ეს მტკივნეული საკითხი, როგორც იტყვიან, გადაჭრით იყო დაყენებული.

როგორი აღმოჩნდა შედეგი? თვით რაიონში თავდაპირველად საგონებელში ჩავარდნენ და უკვე სურდათ დაეტუქსათ ჟურნალისტები, ასე ვთქვათ, „უფროს-უმცროსობის“ განურჩევლობისათვის. მაგრამ ღია წერილს მხარი დაუჭირა პარტიის ივანოვოს საოლქო კომიტეტმა, რომელმაც გაზეთის გამოსვლა განიხილა ბიუროს სხდომაზე. წერილს გამოეხმაურა მინისტრიც, ჩაერია დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი. და აი პრობლემები, რომლებიც დიდხანს გადაუჭრელად იყო მიჩნეული, დაიძრა მკვდარი წერტილიდან: გადაწყდა ფაბრიკის კოლექტივისათვის სამი საცხოვრებელი სახლის, კლუბის, ბავშვთა კომბინატის მშენებლობის საკითხი. ამოქმედდა ფაბრიკის სასადილო... და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რაიონში იწამეს თავისი გაზეთის სიტყვის ქმედითობა, მნიშვნელობა.

ამგვარი ფაქტები, მათი მოყვანა კი მრავალად შეიძლება, გვიჩვენებენ, ქმედითობისა და მებრძოლურობის რა საგრძნობ რეზერვებს შეიცავს ჩვენი რაიონული პრესა და როდენ საჭიროა მათი საქმეში გამოყენება დღეს, რომ ნამდვილად დავეხმაროთ პარტიას განახლების რევოლუციური ამოცანების გადაწყვეტაში. პარტიულ კომიტეტებთან ერთად, რომელთა ორგანოებიც ისინი არიან, რაიონული გაზეთები ხომ ყველაზე ახლოს დგანან პირველადს პარტორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან.

ღრმა, ნამდვილად ძირეული ძვრები ხდება საბჭოთა საზოგადოებაში. ისინი მოითხოვენ ძალღონის, ენერგიის სრულ დაძაბვას, ინიციატივას, შეუპოვარ ბრძოლას ინერტულობისა და კონსერვატიზმის წინააღმდეგ. ავალებენ ჩვენს კადრებს გარდაიქმნან ფსიქოლოგიურად, ახლებურად იაზროვნონ და მიმართონ მუშაობის ახალ სტილს. ყოველდღიურად აშუქებდნენ ამ დიდი და უაღრესად პასუხსაგები მუშაობის მიმდინარეობას, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს გაჭავებული ფორმების, მეთოდების, ჩვეულებების მსხვრევას, ყურადღებით და კრიტიკულად იაზრებდნენ განახლების ცოცხალ პრაქტიკას, პოულობდნენ და საყოველთაო კუთვნილებად ხდიდნენ მოწინავე გამოცდილების ულორტებს — აი რა უნდა გახდეს დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უპირველესი საზრუნავი.

და აქ რაიონულ გაზეთებს, რომ იტყვიან, ფარ-თო ასპარეზი აქვთ გადაშლილი. ვის, თუ არა მათ, აქვს ახეთი შესანიშნავი შესაძლებლობა თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე მხედველობის არეში იქონიოს რაიონის საწარმოების, დაწესებულებების, მეურნეობების ცხოვრება, ნიადაგ გრძობდეს იქ მიმდინარე გარდაქმნის რიტმს: დროულად შენიშნოს, მხარი დაუჭიროს ნიასხეს, ხაინტერესოებს და ასევე დროულად შენიშნოს შეფერხება, მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემა, შემაშფოთებელი ტენდენცია. და ვინ, თუ არა რაიონული გაზეთების მუშაკები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ზეპირად იცნობენ ადგილობრივ კადრებს, უნდა ესაუბრებოდეს მკითხველებს მკაფიოდ და საფუძვლიანად იმათ შესახებ, ვისაც, დღეს ვუწოდებთ გარდაქმნის მოსაგრეებს. უჩვენოს ისინი ისე, რომ მკითხველები შეაჯაფონს, ახსოვდეს, მოუხმოს თანამოსაუბე ამხანაგების მაგალითმა, რომლებსაც არ აშინებთ რისკი ნიასხეისთვის ბრძოლაში, არიან თავიანთი საქმის ბატონ-პატრონები, დოყლაპაობისა და გაჭიანურებისადმი შეურიგებელნი! მთავარია კონკრეტულობა, ცოცხალი საუბარი ცოცხალი გამოცდილების შესახებ.

არანაკლებ საგრძნობ ვეებერძოდეთ პარტორგანიზაციებს მორალური ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი კოლექტივების ერთსულოვან, კეთილსინდისიერ, ინიციატივან მუშაობას, სიმტკიცესა და პრინციპულობას მწვავე საკითხთა გადაწყვეტაში. საჭირო: ვავლენდეთ ხოლშევიკური პრესისათვის თავიდანვე დამახასიათებელ მებრძოლურობას, მოსვენებას არ ვაძლევდეთ უხაჭურებს, ანგარებისმოყვარულთ, შემსუბუქებლს, კრიტიკის ჩამხშობთ, უფრო აქტიურად ვეხმარებოდეთ იმათ, ვინც გარდაქმნისათვის იბრძვის.

ერთი სიტყვით, რაიონულ გაზეთებს მოელით ზღვა სამუშაო — პასუხსაგები და დაძაბული, რომელიც უაღრესად სჭირდება პარტიის მიერ დაწყებულ საქმეს. შეძლებენ კი ამას? პრაქტიკა მოწმობს: დიახ, შეძლებენ, თუ რედაქციის კოლექტივი მტკიცე და თანამიმდევრულად გარდაქმნის თავის მუშაობას დროის მოთხოვნების სულისკვეთებით, თუ ცხოვრობს მკითხველთა აზრებით, ინტერესებით, მისწრაფებებით, აქვს მტკიცე დასაყრდენი შრომითს კოლექტივებში, ავტორთა, მუშსოფლკორთა აქტივში. და, რა თქმა უნდა, თუ მუდამ — სიტყვით კი არა, საქმით — გრძნობს პარტიული კომიტეტის მტკიცე მხარდაჭერასა და დახმარებას.

„შეგიძლიათ აიღოთ რაიონული და საქალაქო პრესა, — თქვა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვმა, — და დაინახავთ რაიკომს, საქალაქო კომიტეტს, მის პოლიტიკურ სახეს, გარდაქმნისადმი დამოკიდებულებას“.

მართლაც, ადგილებიდან მიღებული ცნობები, რაიონული პრესის ანალიზი ადასტურებს წესს: თუ გაზეთი მებრძოლია, მწვავედ აყენებს საკითხებს, გაბედულად „იჭრება“ საჭირბოროტო პრობლემებში, — ეს ნიშნავს, რომ მას საიმედოდ უდგას მხარში პარტიული კომიტეტი, რომელიც უნარიანად, მოფიქრებულად წარმართავს თავისი ბეჭდვითი ორგანოს მუშაობას, აძლევს ასპარეზს შემოქმედებითი ძიებისათვის, საქმის ვითარების კრიტიკული გაანალიზებისათვის. და საქმეც ამ რაიონებში, როგორც წესი, კარგად მიდის. და საპირისპირო სიტუაცია: რაიონი ჩამორჩენილთა რიცხვშია, მეურნეობები ზარალიანია, გეგმები არ სრულდება, გაზეთი კი აჭრელებულია გამარჯვების პატაკებითა და ვალდებულებებით, მომღიმარ „მოწინავეთა“ და „ნოვატორთა“ ფოტოსურათებით. ამ შემთხვევაშიც საქმე ეხება არა მარტო გაზეთის თანამშრომელთა უპრინციპობას, არამედ იმას, რომ უვარგისია პარტიის რაიკომის მუშაობის სტილი, რომელიც ახეთი საეჭვო გზით ცდილობს შეალამაზოს უღიმღამო სურათი.

უკეთესი არ ეთქმის არც პარტიული კომიტეტების გულგრილ დამოკიდებულებას თავიანთი გაზეთებისადმი, რომლებიც მიაჩნიათ არცთუ ისე საჭიროებული, ზოგჯერ კი დამამძიმებელ „დანამატად“. იაროსლავლის ოლქის პერესლავლის რაიონი ოდესღაც სტაბილურად იდგა მოწინავეთა რიგებში. შემდეგ კი თანდათანობით დათმო პოზიციები. რაიონული გაზეთი „კომუნარი“, ეს კი ძლიერი კოლექტივია, რომელსაც კარგი, საბრძოლო ტრადიციები აქვს, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ შეაჩეროს დაქვეითება. ვინ დათვლის თემატიკურ გვერდებს და გაშლილ გვერდებს, სტატიებს, რომლებიც ეძღვნება საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილებას, ჩამორჩენის მიზეზების ანალიზსა და საქმის გაუმჯობესების გზების ძიებას. სამწუხაროდ, ამ პუბლიკაციებს თითქოს არც კი კითხულობენ პარტიულ კომიტეტში: მოწინავე გამოცდილება სუსტად ვრცელდება. რაიკომის გარკვეული რეაქციას იწვევს მხოლოდ კრიტიკული გამოსვლები, რომლებსაც აუცილებლად თან ხდევს ხოლმე გაზეთის მუშაკების მიმართ ნოტაციები და ხმის ჩაქმენდნება.

დღეს პარტიული კომიტეტისათვის გაზეთის ხელმძღვანელობა ნიშნავს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მიზნად უსახავდეს მას გარდაქმნის მთავარ მიმართულებებს, აუმჯობესებდეს სარედაქციო მუშაობის ხარისხს, ამაღლებდეს პუბლიკაციების დონეს, ნამდვილად ზრუნავდეს მეგაზეთეთა კადრებისათვის, მათი მომზადების, სწავლისა და ყოფის პირობებისათვის.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ ძალუძთ მხოლოდ პარტიის რაიონულ ან საქალაქო კომიტეტებს. აქ დიდი როლი განეკუთვნებათ პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. განსაკუთრებით მწვავედ დგას რაიონული გაზეთების მატერიალური ბაზის საკითხი. მაგალითად, იგივე ლეენინგოს „ხელსაკეთ ვეებრის“ რედაქცია იძულებულია დღეში ორჯერ სარეხოო ავტობუსით თავისი მასალები მიჰქონდეს 40 კილომეტრზე ივანოვოს საოლქო სტამბაში. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ამახნინანდელ ყრილობაზე სამართლიანად ითქვა, რომ რედაქციებს აკლიათ ჩვეულებრივი სამეგზო მანქანები, ფოტოაპარატები, დიქტოფონები.

სიმტკიცე, გაბედულობა, ნოვატორობა — უამბოლოდ წარმოუდგენელია განახლებისათვის ბრძოლის წარმატება, ისინი კი სრულად უნდა ახასიათებდეს რაიონულ პრესას. გადავაქციოთ იგი გარდაქმნის აქტიურ მონაწილედ — ასეთია ერთ-ერთი უპირველესი პარტიული ამოცანა.

ОГОНЬОК

28 მარტის მოწინავე

იქნება ზეგეგმითი ქვანახშირი

— **18 აპრილი** გამოვაცხადოთ უდიდესი შრომის ნაყოფიერების დღედ, ყოველდღე დავალების გადაჭარბებით ამოვიღოთ 4-5 ტონა ქვანახშირი, — ამ წინადადებით მიმართა ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს მოწინავე მაღაროელმა რუბენ მანგაგეძემ.

წინადადებას მხარი დაუჭირეს მისმა თანამოსაქმეებმა ლევან ვარდანაძემ, შალვა სახელაშვილმა, ვალერი ბოკორიშვილმა და სხვებმა. მთლიანად ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა შაბათობის დღეს გეგმის გადაჭარბებით მოიპოვოს 80 ტონა ქვანახშირი.

მათ არ ჩამორჩენია არც ორჯონიკიძის სახელობის შახტი. აქაც გეგმის დამატებით მოიპოვებენ სულ ცოტა 80 ტონა ქვანახშირს. წარმოების ვეტერანის ლეონტი მორგუნოვის მოწოდებით, რომელიც მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხანია მუშაობს მამდიდრებელ ფაბრიკაში, მისი კოლექტივი ამ დღეს იმუშავებს წლის დამდეგიდან დაზოგილი ელექტროენერგიითა და სათბობი რესურსებით.

სარემონტო სამუშაოებზე

მარტყოფის და სართიჭალის მეცხოველეობისა და გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების უკლებლივ ყველა მუშა და ტექნიკოსი გამოვა 18 აპრილს შაბათობაზე. ყოველ საბჭოთა მეურნეობაში შექმნილმა შაბათობის მომწყობმა შტაბმა შეიმუშავა ღონისძიებათა კომპლექსები, რომელთა განხორციელება დააჩქარებს საგაზაფხულო თესვის კამპანიას.

გარდაბნის რაიონში მოწინავე მექანიკოსის მაგარამ პირიევის წინადადებით ამ საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნება სარემონტო ბრიგადები, რომლებიც შეასრულებენ ტრაქტორების, კულტივატორების, გუთნების მიმდინარე რემონტს, აგრეთვე გაწმენდენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს სარწყავ ღარებს. სარემონტო სამუშაოები მოეწყობა აგრეთვე ყოველი საბჭოთა მეურნეობის ფერმებში, სოციალურ-საყოფაცხოვრებო სექტორში.

შრომის დღესასწაულ — უდიდესი უკუგება

ზემოდგომაზე ერთიანად ანაზღაურება მიწათმოქმედთა ერთსულოვანი მუშაობა, და ამიტომ სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის შრომელებმა გადაწყვიტეს ლენინური შაბათობის დღე გადააქციონ უდიდესი შრომის ნაყოფიერების დღედ. სამუშაოდ დილადანვე გავა სამასზე მეტი კოლმეურნე. მებოსტნეები დათესავენ კიტრს სათბურებში, მეთამბაქოეები მოუვლიან მცენარეებს. მთელი დღე ორ ცვლად იმუშავებენ მინდვრად მექანიზატორები.

მეურნეობის მშრომელები პლანტაციების გასწვრივ და გზის პირებზე დარგავენ ათასობით თუთის ხეს. ამ დღეს გამომუშავებულ ფულს სოფლის მშრომელები შაბათობის ფონდში გადარიცხავენ.

მთავარი ამოცანაა ხარისხი

ლენინური კომუნისტური შაბათობის დღეს ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ მშრომელებმა გადაწყვიტეს მთელი პროდუქცია ჩაებარონ პირველი წარდგენისთანავე, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან ს

საბჭოთა კავშირი
ფოკუსში • მოვლენები

ვეტერანთა გამოცდილება დაჩქარებას მოვახმაროთ

(დასასრული)

საზიანოდ თავისი პირადი საქმეების მოგვარების მოყვარულთა წინაშე. აღინიშნა, რომ სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტაში უნდა ჩაებას, უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკურმა საბჭომ ფართო აქტივი, მისი ადგილობრივი ქვეგანყოფები.

სუსტად არ გამოიყენება ვეტერანთა სულიერი და ზნეობრივი პოტენციალი, მათი პრაქტიკული წრთობა ადამიანებთან არაფორმალური, მჭიდრო ურთიერთობის, მათთან ინდივიდუალური მუშაობის საქმეში. მრწამსი, პოლიტიკური სიდინჯე და დასაბუთებულობა, რომლებიც ახასიათებთ იმათ, ვინც განვლო დიდი ცხოვრებისეული და პარტიული გზა, გვეხმარება თითოეულ კოლექტივში ვქმნიდეთ გულახდილი დიალოგის ვითარებას, ვაკვლევდეთ და ზუსტად განვსაზღვრავდეთ ადამიანის პოზიციას.

ეს ძალზე საჭიროა, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უკომპრომისოდ ებრძვის ნეგატიურ მოვლენებს, ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში ზნეობრივ დეფორმაციებსა და გადახვევებს. განწმენდისა და ჯანსაღების ამ ბრძოლაში აქტიურად უნდა ჩავაბათ ვეტერანები, რომელთა სიტყვები და საქმეები უნდა აყალიბებდეს საზოგადოებრივ აზრს, ამკვიდრებდეს ჯანსაღ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს.

არსებობს თითოეული კოლექტივის სოციალური და შრომითი აქტიურობის ზუსტი ბარომეტრი — ეს გახლავთ დამოკიდებულება შრომის ვეტერანებისადმი, უნარი — დაეყოფდნოთ მათს გამოცდილებას, პარტიულობას, ზნეობას. იქ, სადაც ყურად იღებენ მათს აზრს, წინადადებებს, კრიტიკულ შენიშვნებს, ატმოსფეროც უფრო წმინდაა, საქმისადმი დამოკიდებულებაც — უფრო პასუხისმგებლური, იქ არ წყდება დიდი პროფესიონალიზმის ძაფი. ამის მკაფიო დასტურია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მაგალითი. იქ ყველგან იგრძნობა ვეტერანთა მზრუნველი ხელი, მათი მომთხოვნელობა და სიმტკიცე კოლექტივის სოციალური და საწარმო პრობლემების გადაჭრაში, ახალგაზრდობის აღზრდაში, დისციპლინის განმტკიცებაში, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია საქმე. წუხლითი ითქვა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში კარგავენ წინათ მოპოვებულ პოზიციებს, ზნირად უფასურდება ოსტატის ცნება, რომ შრომისმოყვარეობა— ჩვენი ხალხის ძირითადი მორალური ღირებულება — პრაქტიკულად განყენებული ცნება ხდება. ავლენდნენ რა ამის მიზეზებს, ორატორებმა აღნიშნეს, რომ ისინი უნდა ვეძიოთ ვეტერანთა, თავისი საქმის ნამდვილ ოსტატთა მაღალპარისხოვანი შრომის გამოცდილებასა და ტრადიციებზე ახალგაზრდობის უუბარო ორიენტაციაში. ამიტომ აქ ბევრი რამ უნდა: დადასნჯონ პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ადამიანებს, რომლებმაც მშობლიურ საწარმოს მრავალი წლის პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომა მოახმარეს, უჭირთ მასთან განშორება, ბევრი მათგანი საპენსიო ასაკს რომ მიაღწევს, განაგრძობს კოლექტივში შრომას. ისინიც კი, ვინც დამსახურებულად ისვენებს, ხშირად ვერ ძლებს შინ და კვლავ უბრუნდება სამუშაოს. ვეტერანთა ეს ერთგულება შრომის, მშობლიური კოლექტივის, თავისი პარტიული ორგანიზაციისადმი უნდა დავაფასოთ და მხარი დავუჭიროთ, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი მათს ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს.

ქვეყნის ბევრ რეგიონში ახლა იზრდება ჩვეულებრივი ტიპის საწარმოებში სპეციალური უბნები და საამქროები, აგრეთვე სპეციალიზებული საწარმოები, სადაც დაქვეითებული შრომისუნარიანობის მქონე ადამიანებისათვის საჭირო პირობებია შექმნილი. ჩვენთან, რესპუბლიკაში, ეს საქმე ნელა მიიწევს წინ, ჯერ კიდევ ყველას ვერ შეუგნია ხანში შესულ ადამიანთა დასაქმების გზრდის უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა. კონფერენციამ მოსთხოვა ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკურ საბჭოს აქტიურად დაეყრდნოს ადგილობრივ ორგანიზაციებს, ამასთან გააძლიეროს მათი ინიციატივანი, პრინციპული პოზიციები, მკაფიოდ განსაზღვროს თავისი კონსტრუქციული დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი.

გარდაქმნის წინა ხაზზე

ახალი საზოგადოებრივი ფორმირება კარგ პერსპექტივებს სახავს სხვადასხვა სფეროში — მრეწველობასა და მშენებლობაში, ტრანსპორტზე და მოსახურების სფეროში, სახალხო მოხმარების საქონლის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში ვეტერანთა შრომითი საქმიანობისათვის. საზოგადოების სასარგებლო საქმისათვის ხანდაზმულ ადამიანთა დასაქმების გასაზრდელად სასიკეთო პირობებს ქმნის სსრ კავშირის კანონი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია ოცდაათზე მეტი განსაკუთრებით გავრცელებულ სახეობათა სარეწები და მომსახურება, სადაც ვეტერანებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ცოდნა, ჩვევები და გამოცდილება.

მაგრამ ხშირად ასეც ხდება — პირობებიც არის, შესაძლებლობებიც კარგია, სურვილიც დიდია, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, რადგან არ არის თავკარი—დაინტერესება. ავიღოთ, თუნდაც, შრომის შინ ორგანიზაცია, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ აპრობაციის სტადიაშია. არადა, მის განვითარებაში ხომ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საპენსიონ ასაკის ადამიანებს, რომლებსაც ოსტატობაც აქვთ და შრომის სურვილიც არ დაშრეტიათ. ან ავიღოთ საოჯახო და ინდივიდუალური იჯარა. როგორ გამოცოცხლდებოდა ეს საქმე, აქტიურად, ნამდვილად რომ ჩაგვება მასში საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანები.

ომისა და შრომის ვეტერანთა გამოცდილება და ცოდნა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წეოს განსაკუთრებით საჭიროა ახალგაზრდობასთან მუშაობაში, მის პოლიტიკურ და ინტერნაციონალურ წრთობაში, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე. საბჭოეთის მთელი ისტორიის შეფასებაში ახლა სიმართლის უცილობელი სოციალისტური კანონი მოქმედებს. ვეტერანთაგან ბევრმა, ვისთვისაც ეს ისტორია მტკიცედ არის დაკავშირებული პირადურევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ბიოგრაფიასთან, კარგად იცის, თუ რა ბრძოლა მეცადინეობის წყალობით გადაიქცა ჩვენი ქვეყანა დიდ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს მძლავრი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. ძვირფასია ამ განვლილი წლებიდან თითოეული, იგი ასაზრდოებს ჩვენს ძალებს და რწმენას. ამიტომაც აუცილებელია, რომ ყმაწვილ თაობას სრულად გავაცნოთ სოციალისტური სამშობლოს ისტორია, არ მივჩქმალოთ მისი დიდი გაკვეთილები, დამაჯერებლად გავაშეოთ ოქტომბრისა და ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ახლანდელი არსებითად რევოლუციური გარდაქმნების ორგანული კავშირი.

დღეს ახალგაზრდობასთან დიალოგის დროს ზოგჯერ იგრძნობა მისწრაფება შეალამაზონ განვლილი წლები, წარმოადგინონ მაშინდელი მოვლენები ლამაზი ფერებით, თვალი აარიდონ წინააღმდეგობებს, შეცდომებსა და ხარვეზებს. ეს პრინციპულად, გულახდილად თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. მეტად საჭიროა მისი განწყობილება, მიმართულება გავაცნოთ მოზარდ თაობას. სწორიდ ვეტერანები, დღიდან ცხოვრებისეული, პროფესიული და პარტიული გამოცდილების პრიზმით უნდა მიხოვდნენ ახალგაზრდობასთან მწვავე, გულახდილ სჯა-ბაასს ისტორიისა და თანამედროვეობის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ცხოვრება იცვლება, იხვეწება მისი სფეროები — სოციალური, ეკონომიკური, ყოფითი. მაგრამ არ შეიძლება დავკარგოთ ისეთი მორალური პრინციპები, როგორიც არის სისადავე, თავმდაბლობა, სიდინჯე, გულითადობა. სწორედ იქ, სადაც შესუსტებულია ამ თვისებებზე ორიენტაცია, ვაწყდებით მეშჩაურ პროტექციონიზმს, ცხოვრებისადმი მეშტრულ დამოკიდებულებას, ლოთობასა და ნარკომანიას ახალგაზრდობაში, ვხვდებით საერთო ცხოვრების სოციალისტური ნორმების აშკარა უგულებელყოფის ფაქტებს.

ვინ უნდა შეაკავშიროს, შეადუღაბოს ჩვენი მორალის მოთხოვნების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი? ვინ უნდა დაბარნოს, აღადგინოს ჩვენს ოჯახებში, შრომითს კოლექტივებში ისეთი შესანიშნავი ცნებების ხშირად დაკარგული ავტორიტეტი, როგორიც არის თვითკონტროლი, თვითდისციპლინა? ეს საერთო საზრუნავია, აღინიშნა კონფერენციაზე, იგი ეხება თითოეულს, მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ განსაკუთრებით დიდია ვეტერანთა როლი.

ცოდნა, სიმწიფის გამოცდილება და დინამიზმი, ახალგაზრდული შემართება ჯვსებენ ერთმანეთს. ამიტომ ტრადიციისამებრ ვეტერანები ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდნენ კომკავშირთან, ეხმარებოდნენ მას ყმაწვილი თაობის აღზრდაში. ახალი ფორმირების შექმნით ეს კავშირი უნდა განმტკიცდეს, ახალ ორგანიზაციულ საფუძველზე აიგოს, სხვა თვისებრივი შინაარსი შეიძინოს. პროფესიის არჩევა და შრომითს კოლექტივში შესვლა, ახალგაზრდობის მომზადება პარტიაში მიღებისათვის, შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურისათვის — ეს და სხვა საქმეები უნდა გახდეს ვეტერანთა მთავარი საზრუნავი.

ახალი ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ზრუნვა იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს ომისა და შრომის ვეტერანთა მოთხოვნილებანი, ყველაფერი ვიღონოთ რათა მათდამი ყურადღებას ვიჩენდეთ არა სიტყვით, არამედ საქმით. რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ამ მხრივ. გაუმჯობესდა ვეტერანთა ცხოვრება, სოციალურ-საყოფაცხოვრები მომსახურება, მატერიალური უზრუნველყოფა. მარტო შარშან ომის მონაწილეთა და ომში დაღუპულთა 1200-ზე მეტმა ოჯახმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. გაფართოვდა სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი — ახლა იგი 27 ათას კაცს ემსახურება. სახელმწიფომ ბევრ შემთხვევაში იკისრა ხანდაზმულთა ბინების შეკეთების, მიწის ნაკვეთების დამუშავება, მათ გამოეყო თითქმის ცხრა ათასი შეღავათიანი საგზური სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის.

ამავე დროს კონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის და ვეჭრობის რესპუბლიკური სამინისტროების სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ ჭარბობს „ციფრობრივი მოცვის“ კომპლექსი, რომელიც საშუალებას არ გვაძლევს ნამდვილად მივწვდეთ ყოველ კონკრეტულ ბედს, გულისხმიერად მოვეკიდოთ მას. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით შეუწყნარებელია, როცა საქმე ეხება უფროსი თაობის ადამიანებს, სხვადასხვა სენით შეპყრობილ ხანდაზმულებს, ზოგჯერ მარტხელებს. ამიტომ საფუძვლიანად მოკლებული არ იყო ვეტერანთა მიერ გამოთქმული პრეტენზიები მათი ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის, აგრეთვე შესაფერის შრომითს საქმიანობაში ჩაბმის გამო. ჯეროვნად არ განვითარებულა ვეტერანებთან ინდივიდუალური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის შინ დამაორება, ხანში შესული მარტხელა ადამიანების მოვლა, საცხოვრებელ ადგილებში ხანდაზმულებთან მუშაობა. რატომღაც ეს საკითხები კომკავშირსაც რჩება უყურადღებოდ. მოქალაქეობრიობის, პასუხისმგებლობის რა შესანიშნავი სკოლა შეიძლება გახდეს ახალგაზრდობის ეგოისტმეირი მონაწილეობა უფროსების ბედში, რაც ყოველთვის შეადგენდა ჩვენი ხალხის, ყველა საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთ ძირითად ეთიკურ ღირებულებას. კონფერენციამ მოსთხოვა საქართველოს პროფსაბჭოს, ყურადღებით გაერკვეს, როგორი ურთიერთობა აქვთ საწარმოთა და დაწესებულებათა ხლმძღვანელებს პენსიაზე გასულ კადრის მუშაკებთან, იჩენენ თუ არა მათ მიმართ ჯეროვან ზრუნვასა და ყურადღებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გამოირიცხოს კამპანიურობისა და ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინება, როგორც ეს არაერთგზის ყოფილა წარსულში. ვეტერანებთან მუშაობა, მათთვის ზრუნვა რეგულარული უნდა იყოს და არა სახანდასახანო, ან დიდი ღღესასწაულების დროს.

მეტად მნიშვნელოვანია, როგორ მოკიდებენ ხელს საქმეს ახალი ორგანიზაცია, მისი საბჭო, ადგილობრივი ფორმირებები, როგორ გადაწყვეტენ პრაქტიკულად მათს წინაშე დასახულ ამოცანებს, როგორ გამოიჩენენ თავს. დელეგატებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ეს უნდა იყოს ადამიანთა შორის და ადამიანებთან ცოცხალი, შემოქმედებითი მუშაობის მექანიზმი. აქ გამორიცხულია მოჩვენებითობა, ბიუროკრატიზმი, ზარზეიმურობა, რომელსაც უნდა დავუპირისპიროთ გულისხმიერება, ჩვენივე ამხანაგების — ვეტერანების ბედით დაინტერესება, რომელთა საკეთილდღეოდ შეიქმნა რესპუბლიკური ორგანიზაცია. აღ უნდა დავუშვათ, რომ შენელდეს მისი ძირითადი ფუნქციის შესრულება — იყოს სოციალისტური თვითმმართველობის აქტიური რგოლი. აქ კი ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიულ ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, პროფკავშირებთან, კომკავშირთან, ჯარის ქვეგანაყოფებთან ურთიერთობის სრულფასოვან შინაარსსა და ხასიათზე, იმაზე, თუ როგორ გადაწყდება მისი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი ამოცანები.

დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აცხადებენ, რომ ომისა და შრომის ვეტერანები კვლავაც იქნებიან პარტიის ერთგული და საიმედო თანაშემწეები ყველა მის საქმესა და მოღწევებში.

კონფერენციამ აირჩია ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო, აგრეთვე სარევიზიო კომისია.

* * *

საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია შ. დ. კიკნაძე, თავმჯდომარის მოადგილედ — თ. ვ. ლაშქარაშვილი.

(საქინფორმი).

ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროებისათვის

ბერლინი. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამშვიდობო საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები მთლიანად შეესაბამება დროის მოთხოვნებს. სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წინ წასწიონ განიარაღების, დაძაბულობის, შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის საქმე, ხაზგასმით აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი“ მოსკოვში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომის შესახებ გამოქვეყნებულ კომენტარებში.

მინისტრებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს, აღნიშნავს გაზეთი, საბჭოთა კავშირის წინადადებას ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, და მთლიანად დაუჭირეს მას მხარი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან შეხვედრის დროს სხდომის მონაწილეებმა იგივე აზრი გამოთქვეს. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აგრეთვე მიესალმნენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმების დადებისთანავე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან ამ ქვეყნების მთავრობებთან შეთანხმებით გამოტანონ გაზრდილი სიშორის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები.

სოფია. მოსკოვის სხდომის განმასხვავებელი ნიშანი გახდა მისი პრაქტიკული მიმართულება, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ივანე განევამ. ამ პრესკონფერენციაზე ცხადი გახდა, რომ ორივე ქვეყანა ერთნაირ თვალსაზრისს ადგას თანამედროვეობის ისეთ კარდინალურ საკითხებში, როგორიც არის ბირთვული მოსპობისაგან კაცობრიობის ხსნა, შეიმუშავეს განიარაღებისათვის მტკიცე ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი.

ვარშავა. დოკუმენტები, რომლებიც მიიღეს მოსკოვის სხდომაზე, დამაჯერებლად მოწმობს, რომ სოციალისტური ქვეყნები ურყევად ადგანან ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემის პოზიციებს, ხაზს უსვამს პოლონეთის „ტოლნეე ვოლნოსტი“. ამ საკითხში საბჭოთა წინადადებების სიცხადემ და სიზუსტემ კუთხეში მოამწყვდია მოწინააღმდეგე მხარე. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში დასავლეთი და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები აღმოჩნდნენ საკუთარი მიზეზით, რადგან უაღრესად ძნელია თავი დააღწიონ ფსიქოდომშვიდობისმოყვარული დეკლარაციების ჩიხს, თუ მათ საქმეებით არ განამტკიცებ.

ბუდაპეშტი. მოსკოვის სხდომაზე მიღებულ დოკუმენტებს ახასიათებთ მიზანსწრაფულობა, მოლაპარაკებისათვის მზადყოფნა, ჯანსაღი ოპტიმიზმი, წერს უნგრეთის „**მადიარ ხირლაპი**“. განიარაღება, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება — აი ამ დოკუმენტების მთავარი აზრი. დღეს განსაკუთრებით საჭიროა შეჩერდეს კონფრონტაციის პროცესი. სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ უჭერენ მხარს მყარ მშვიდობას.

● ინდოეთი

მეგობრობის ნიშანსვეტები

კრებული ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

დელი. „ინდოეთი — სსრ კავშირი: მშვიდობისმყოფელნი“, — ასე ეწოდება კრებულს, რომელიც გამოუშვა გამომცემლობა „პისტაიმ პაბლიშერზმა“. მასში შეკიდა დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ასახავენ 1985 წლის მაისში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რ. განდის ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტს საბჭოთა კავშირში, 1986 წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტს ინდოეთში. ეს არის ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ დელის დეკლარაციის, ორი ქვეყნის ხელმძღვანელების ერთობლივი განცხადებებისა და შეთანხმებების, პრესკონფერენციების, პრესის პუბლიკაციების ტექსტები.

ამ ვიზიტებს „უეჭველად ისტორიული მნიშვნელობა აქვთ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ნაადგმა მზარდი ორმხრივი ურთიერთობისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ორი დიდი ქვეყნის ხელმძღვანელთა ბრძოლის კონტექსტით“, აღნიშნავს კრებულის წინასიტყვაობაში მმართველი პარტიის ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) სრულიად ინდოეთის კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე რომეშ ბხანდარი.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქში მიმდინარეობს ყოფილი ცენტრალური აფრიკის იმპერიის ექს-მონარქის, საფრანგეთის არმიის კაპიტნის ბოკასას სასამართლო პროცესი. დამხობილ იმპერატორს ბრალად ედება მკვლელობანი, სახელმწიფო თანხების დატაცება, კაცისჭამიობა და სხვა დანაშაულობანი.

სურათებზე: ექს-იმპერატორი საბრალდებო სკამზე; ცენტრალური აფრიკის ხალხთა „მბრძანებლის“ დამხობილი ქანდაკება.

პრეზიდენტი ახალ საბაბს ეძებს

რეიგანის განცხადება საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ

ვაშინგტონი. თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა პრეზიდენტ რეიგანის წერილობითი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ უინეგანი 26 მარტს დამთავრდა ბირთვული და ქიმიოსური შეიარაღების საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების ჯგუფში მუშაობის მორიგი ეტაპი.

განცხადებაში ყოველნაირად შექებულია ამერიკის მხარის პოზიცია, მისი „მზადყოფნა“ მიაღწიოს შეთანხმებას საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების თაობაზე. ამავე დროს იგი შეიცავს ცდას დაამახინჯოს სსრ კავშირის მიდგომა მოლაპარაკებისადმი, საბჭოთა მხარეს მიაწეროს რაღაც „ახალ პოზიციას“, რომელიც, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, „სრულიად მიუღებელია“ შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისათვის.

ამასთან ადმინისტრაციის მეთაური თავის განცხადებაში დაჟინებით მოითხოვს „თავდაპირველი შეთანხმება“ — საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ აუცილებლად დაუკავშირონ ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტებს.

საბჭოთა ინიციატივა, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 28 თებერვლის განცხადებაში, ისახავს კონკრეტულ და მკაფიო მიზანს — დაუყოვნებლივ დაიდოს ცალკე შეთანხმება ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემის თაობაზე, რათა, როგორც რეიკავიკში დათქვეს, უახლოეს ხუთ წელიწადში სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოსპონ ისინი. ამავე ვადაში ამ კლასის საბჭოთა რაკეტების რიცხვი სსრ კავშირის ტერიტორიის აზიურ ნაწილში შემცირდება ას ქობინამდე, თუ ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სიშორის რაკეტების ამდენივე ქობინი დარჩება შეერთებული შტატების ეროვნულ ტერიტორიაზე.

ამასთან საბჭოთა კავშირი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როგორც კი ხელმოწერილი იქნება ხელშეკრულება ევროპაში საშუალო სიშორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტების მოსპობის შესახებ, სსრ კავშირი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ჩეხოსლოვაკიიდან, ამ ქვეყნების მთავრობებთან შეთანხმებით, გამოიტანს გაზრდილი სიშორის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტებს, რომლებიც იქ გაძლოდა დასავლეთ ევროპაში „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების პასუხად. რაც შეეხება ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სხვა რაკეტებს, სსრ კავშირმა განაცხადა, რომ მზად არის მაშინვე დაიწყოს მოლაპარაკება მათი შემცირებისა და სრული მოსპობის შესახებ.

შეერთებული შტატები მრავალგზის იერშუნებოდა, რომ თუ სსრ კავშირი საშუალო სიშორის რაკეტების საკითხს გამოყოფდა რეიკავიკის პაკეტიდან, მაშინ ევროპაში მათი მოსპობის შესახებ მორიგება ძნელი არ იქნებოდა. ახლა კი, როცა საბჭოთა კავშირმა ეს ნაბიჯი გადადგა, ვაშინგტონი ცდილობს გამოიტხოს ახალი საბაბი მოლაპარაკების გასაფუჭებლად, რაც მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს ევროპაში მოსპოს საშუალო სიშორის რაკეტები.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

◆ **პრაღა.** თანამშრომლობის ახალ მიჯნებს აღწევს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 26 უდიდესი მანქანათაშენებელი საწარმო. ორი ქვეყნის შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებისა და ხელმძღვანელების აქ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე მიღწეულია შეთანხმებანი ინტეგრაციის პროგრესული ფორმების განვითარების შესახებ. მალე დაიწყებს მოქმედებას საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ახალი ერთობლივი საწარმო „შკოდა-ურალმაში“, რომელიც დასპეციალდება მაღალი ტექნიკური დონის საგლინი მოწყობილობის შემუშავება-გამოშვებაზე.

◆ **ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატში საგარეო და იურიდიულ საქმეთა კომიტეტებმა მოაწყვეს გაერთიანებული მოსმენები რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1972 წლის ხელშეკრულების თაობაზე. კანონმდებლებმა მკაცრად დაგმეს ადმინისტრაციის განზრახვა, შეიფერხოს ხელშეკრულება ეგრეთ წოდებულ „ფართო ახსნა-განმარტებაზე“ გადასვლის გზით.

◆ **სტამბოლი.** წლის ამ დროისათვის არნახული თოვლისა და ქარბუქის შემდეგ, რომელიც მთელი კვირის მანძილზე ბობოქრობდა სტამბოლში, ექვსმილიონიან ქალაქს თავს დაატყდა კოკისპირული წვიმები. განვლილ დღე-ღამეში, თურქეთის მეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებით, მოვიდა ბოლო წლებში რეკორდული რაოდენობის ნალექები. ნიადაგრმა დატბორა ქალაქის ბევრი უბანი.

● იაპონია

საბჭოთა კეფირის გუმი

ტოკიო. წლევანდელ გაზაფხულზე იაპონიაში ვაჟრობის სფეროს სენსაციად იქცა ადგილობრივ ბაზარზე საბჭოთა კეფირის გამოჩენა, რომელსაც, როგორც მეცნიერებმა დადგინეს, ანტიკანცეროგენული თვისება აქვს. უხსოვარ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში შობილი რძის სასმელის წარმოება დაიწყო აქ სსრ კავშირში შეძენილი ლიცენზიით სპეციალურად შექმნილმა ფირმამ „ნიპონ კეფიამ“. ჯერჯერობით კეფირი იაპონიაში სწრაფსხსნადი ფხვნილის სახით იყიდება, მაგრამ მალე ადგილობრივ ბაზარზე ჩვეულებრივი კეფირი გაიყიდება, აცნობეს საკადესის კორესპონდენტს კომპანიის გამგეობაში.

კეფირის ბუმი აქ ერთი წლის წინათ დაიწყო, როცა კინკის უნივერსიტეტის ავტორიტეტული ექიმებისა და ფარმაცევტების ჯგუფმა ოფიციალურად გამოაცხადა მისი უნიკალური სამკურნალო თვისებების შესახებ. გულმოდგინე გამოკვლევის შემდეგ მათ დაადგინეს, რომ ამ სასმელს შეუძლია მკვეთრად შეაჩეროს კიბოს უჯრედების გავრცელება და გააქტიუროს ადამიანის იმუნური სისტემის „საბრძოლო თვისებები“. მეცნიერთა ცდებს ცხოველებზე საოცარი შედეგები მოჰყვა: გაწურული კეფირის შეყვანა 52,8 პროცენტით ანელებდა ავთვისებიანი სიმსივნის გავრცელებას. კეფირის შეხამება მთელ რიგ ქიმიურ პრეპარატებთან 66 პროცენტამდე ზრდიდა ამ მაჩვენებელს.

თვალსაჩინო იაპონელი ონკოლოგი, პროფესორი მიტინორი კუბო კინკის უნივერსიტეტიდან ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა სასმელს უნიკალური ფლორა აქვს, რომლის შემადგენლობა მკვეთრად განასხვავებს მას მყავე რძის სხვა პროდუქტებისაგან. კეფირის რეგულარული ხმარება, მეცნიერის აზრით, ადიდებს კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების უმრავლესობის ეფექტიანობას და მნიშვნელოვანწილად ასუსტებს მათ შესაძლო თანამდევ შედეგებს.

ამჟამად იაპონელი სპეციალისტები ცდილობენ შექმნან წამლები სოკოს საფუძველზე, რომელსაც ეს სასმელი შეიცავს. ამასობაში კი „ჯანმრთელობის ელექსირის“ გარშემო ატეხილმა ბუმმა უკვე წარმოშვა კომერციული კონფლიქტები. მის უდიდეს პოპულარობაზე ხელის მოთბობის მიზნით ზოგიერთი ფირმა ცდილობს ბაზარზე გამოიტანოს ამ სასმელის საკუთარი „ვარიანტები“, რითაც აღრეკვეს კომპანია „ნიპონ კეფიას“ კანონიერ სალიცენზიო უფლებებს.

● ᲘᲚᲘᲜᲘᲐ

ერთიანობის აღსანიშნავად

ტრიპოლი. ლიბიის დედაქალაქში გავრცელდა „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთიანობის აღდგენის შესახებ ტრიპოლის დეკლარაციის“ ტექსტი, რომელიც მიიღეს პალესტინის მთელი რიგი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და წარმომადგენლებმა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ უნდა აღდგეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთიანობა ანტიიმპერიალისტურ და ანტისიონისტურ საფუძვლებზე, დადასტურებულია პოლიტიკური პროგრამისადმი ერთგულება, რომელიც ითვალისწინებს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებებს, მათ შორის თვითგამორკვევისა და საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების დაკმაყოფილებას.

მხარეებმა საჭიროდ მიიჩნიეს მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებისა და მისი ცენტრალური პრობლემის — პალესტინის პრობლემის მოწესრიგების შესახებ.

● ᲖᲘᲛᲑᲐᲑᲕᲔ

წარუდგინეს წინადადება

ჰარარე. ზიმბაბვეს პარლამენტის კრების პალატას განსახილველად წარუდგინეს წინადადება, რომ შეჩერდეს თეორკანიანთა პარტიის — ზიმბაბვეს კონსერვატიული ალიანსის ლიდერის იან სმიტის სადეპუტატო მანდატის მოქმედება.

როგორც პალატის სხდომაზე განაცხადა მმართველი პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, რესპუბლიკის ინფორმაციის, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციის მინისტრმა ნათან შამუიარირამ, როდესაც რეჟიმის „ყოფილი პრემიერ-საქმიანობა სახელს უტეხს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. სამხრეთ აფრიკაში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს სმიტმა აშკარად დაუჭირა მხარი პრეტორიის რეჟიმის აპარტეიდის პოლიტიკას და გაიღაშქრა რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ საერთაშორისო გაერთიანების მიერ ეკონომიკური სანქციების შემოღების წინააღმდეგ.

მსოფლიო

 კარლო კალაძე 80 წლისაა

სიცოცხლის ქინით გულანთებული



3 არლო კალაძე ორი წლის წინათ თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. ეს დიდი აღიარება მან ჭეშმარიტად დაიმსახურა, როგორც პოეტმა და მოქალაქემ. თბილისი გამოირჩევა არა მარტო გეოგრაფიული მდგომარეობითა და თავისებური იერით, არამედ მკაფიოდ გამოჩატული, კოლორიტული ადამიანებით. კარლო კალაძე ტიპური თბილისელია: „ჩვენებურად, ძველებურად“ უხვი, პუროული, ორბელიანთა შვილობილი და ახალი რევოლუციური თბილისის პირმშო. ეს თითქოს პარადოქსია, მაგრამ ისტორიამ იცის ასეთი პარადოქსები. აბა, ერთი ლხინში ნახეთ კარლო კალაძე, თუ თქვენს გონებაში ერთბაშად არ გაცოცხლდეს გრიგოლ ორბელიანის სტროქონები: „ძმანო აღვავლოთ ფიალა წინაპართა მოსახსენებლად, რომელთა დასდვეს სიცოცხლე მამულის ასაშაღლებლად, რომელთა სახე დიდების სხივს მოგვფენს გასამხნევებლად“... ახლა ტრიბუნაზე ნახეთ იგი თანამედროვე ცხოვრებით გატაცებული და აღტაცებული...

„ლხინშიც“ და „ტრიბუნაზეც“ რევოლუციის მოქალაქედ და ქართველ პატრიოტად რჩება. ლხინში — გრიგოლ ორბელიანისა და ფიროსმანის თბილისის ტრუბადური, ტრიბუნაზე — პათეტიკური რევოლუციური ლექსებისა თუ პატრიოტიზმით დამუხტული „ენგურის“ დეკლამატორი...

იყო საქართველოს დედაქალაქის — თბილისის საპატიო მოქალაქე, ნიშნავს იყო სრულიად საქართველოს საპატიო მოქალაქე, რამეთუ თბილისია ერთიანი საქართველოს გული და გონება. კარლო კალაძე კი ამ ერთიანი საქართველოს გამორჩეული პატრიოტი პოეტი და მოქალაქეა. ქართულ მწერლობაში მე არ მეგულება სულის შემართებით და მხნეობით ასე შეუდრეკელი მეორე პოეტი. თუმცა 80 წელი მოიყარა, მაგრამ ბედისაგან არც თუ ისე განებივრებული იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ქვეყნის ბამგებელმა არაერთგზის მიაყენა მძიმე სულიერი ტრავმა, ბმით დაწყებული და შვილით დამთავრებული. ამ რთულ გზაზე ერთხელ არ დასცდენია ბედის სამღერავი ლექსით თუ სიტყვით. ეს პოეტური ოპტიმიზმი, ეს პოეტური ხალისი, ეს შინაგანი სულიერი შემართება და საბრძოლო განწყობილება, თვით კარლო კალაძის პიროვნული და მოქალაქეობრივი თვისებაა, სადაც არ უნდა მოხვედეს იგი, როგორ განწყობილებაზეც არ უნდა იყოს პოეტი, მის გამოჩენას ერთბაშად თან მოაქვს ღრმა ინტიმი და ხალისი. სიცოცხლის ეს ხალისი საოცრად გადამდები ხდება. ეს თვისება მიაიეჭა მან თავის ლექსებსაც. „წარბშეკრული - კაცის ნახვა ისე მომძაბს — თავს მოვიკლავ სახე რომ არ გავუხათო! დე, ეგონოს მისი ვიწრო თვალის ციმციმს: ეს ცხოვრება უჩანს დღესასწაულადო“. მაშინაც კი როდესაც სევდიანი განწყობილება ეუფლება პოეტის სულს, მაშინაც თანაფარდობაა სევდასა და რწმენას შორის შენარჩუნებული: „სამშობლოვ ჩემო, გულმკერდგახსნილ სილაღის მამავ, მთაო, ღვარხევო, არ გათქმევინებ, ვნახე დაღ-დასმით, თავისთვის განზე მდგარი ვნახეო!“

კარლო კალაძის განვლილი პოეტური გზა მეტად რთული და სინტერესოა. იგი სამართლიანად ითვლება იმ სამეულში (ა. მაშაშვილი—მირცხულავა, კ. ლორთქფანიძე, კ. კალაძე), რომელმაც ოციანი წლების დასაწყისშივე გააჩაღა პოეტური სიტყვის ოსტატობისთვის ბრძოლა. მხატვრული ფორმის სრულყოფის პრობლემა მეტად მწვავედ დააყენა პროლეტარული მწერლობის ამ თაობამ. პროლეტარული მწერლობის ამ კვალობაზე ქართული მწერლობის წინაშე მწვავედ დადგა საკითხი მოძებნილიყო ახალი სამყაროს გამოხატვის ადექვატური მხატვრული ფორმა, რადგან მწერლობა უბრალო აღწერა კი არ არის ცხოვრებისა, არამედ მოწინავე აზრის მხატვრული ფენომენის ესთეტიკური მნიშვნელობის მიმნიჭებელია, ის ახალი ცხოვრებაა, ლიტერატურული ცხოვრება, რომელიც თვით ანდენს ცხოვრებაზე ზეგაკერნას. ქართული საბჭოთა მწერლობა მიჰყვებოდა რა რევოლუციური საქართველოს ცხოვრების გზას, იგი ერთი მხრივ ებრძოდა პრიმიტივიზმს, ენობრივ ნატურალიზმს, რიტორიკას, მეორე მხრივ კი უკუაგდებდა ფორმალისტურ, ხელოვნურ გაბუხდოვანებას მხატვრული ფორმებისა, ამორფულ, ღვარძლიან, ოჩოფეხებზე შეყენებულ დეკადენტურ თეორიას, ხელოვნებას ხელოვნებისათვის.

1926 წელს გაიმართა სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ოთხი ლიტერატურული მიმდინარეობის ასი დელეგატი.

ოთხივე მიმდინარეობას საკუთარი ლიტერატურული კრედო და დამოკიდებულება ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციასთან. რევოლუციურ საქართველოსთან გაუუყოფლად იყო დაკავშირებული ამ ყრილობაზე წარმოდგენილი პროლეტარული მწერლობის ორი თაობა. ნიშანდობლივია, რომ ამ ორი თაობის ორი ტიპური წარმომადგენელი იყო მამა-შვილი კალაძეები: რაჟდენ კალაძე — ძველი რევოლუციონერი, „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი 1892 წელს და კომკავშირული პროლეტარული მწერლობის ახალი თაობის მეთაურთაგანი კარლო კალაძე: ერთი სამწერლო ორგანიზაციის ორი განსხვავებული ხელწერისა და ესთეტიკური კრედოს დამცველი, ამის მიუხედავად, ბოლომდე ერთგული რევოლუციური საქართველოსი! თაობათა ეს ესტაფეტა კარლო კალაძემ შესანიშნავად დახატა პოემაში „მამა“. სამი თაობა: პოეტის მამა, პოეტი და შვილი— მწერლობისა და ხელოვნების სამი თაობის წარმომადგენელი (რაჟდენ კალაძე, კარლო კალაძე და გულრა კალაძე). მათ განსხვავებული ასპექტები აქვთ, მაგრამ საერთო რწმენა აერთიანებთ — „მწამს მერმისი ერთი, ისე როგორც მწამდა, ისე როგორც დიდი ერთგულება სამთა“. ამ პოემაში ტრაგიკული და ოპტიმისტური ინტონაციების შენაცვლებას დიდი რწმენა განაგებს. 27 წლის შემდეგ ლანდად გამოცხადებული მამის პირველი კითხვაა: პოეტი და მისი შვილმშვილი ნამუსიანად და სინდისიერად თუ ემსახურებიან მამათა ანდერძს: „მზე სამთავეს ერთად გვანათებდეს მინდა, ისე როგორც გრგვინვა ცხრაასიანი წლების, სართულ-სართულ ქართულ ჭერის ამაღლების, სილამაზეც არის სიმამაცე შვილთა. ყველა, ყველა, ყველა! პატარა თუ დიდი, პირველი დღის სწრაფვა, მეორე დღის ხიდი, ყველა წამი იწვის ერთ განუყრელ წამად, საუკუნე ჩვენი არ იყოფა სამად“.

მთელი სამოცდაშვიდი წელი (მისი პირველი ლექსი 1920 წელს გამოქვეყნდა), კარლო კალაძემ ხმაურიანი, მოუსვენარი, შედამძიებელი ცხოვრებით იცხოვრა პოეზიისა და თეატრში (მოვიგონოთ კარლო კალაძე ქუთაისის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრის დირექტორის პოსტზე და აქ დადგმული ბევრი პიესები: „როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკვრის პირას“). კარლო კალაძე მემატიანეს სიზუსტით მიყვება ჩვენს ცხოვრებას მხარდამხარ ენგურჰესის მშენებლებთან იქნება იგი, კახეთის ზვრებში, კოლხეთის ჩაის პლანტაციებში, რუსთაველ მეფოლადეებთან თუ ტყიბულელ მაღაროელებთან, — ყველგან პლასტიკურად ძერწავს და ხატავს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს ცხოვრებას და შრომას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მისი ლირიკული ლექსები: „ტოროლა“, „მედოქენები“, არაკი „ბუხრის წინ“, „მთაწმინდა“...

კარლო კალაძე არა მარტო თავისი ლექსებით („მოსკოვი“, „ნ. ტიხონოვს“, „ვოლგის ნაპირი“, ლექსების ციკლი — „უკრაინაში“), არამედ საზოგადოებრივი და პრაქტიკული მოღვაწეობით ც ხალხთა ძმობის ხიდის გამდებად გვევლინება. მას ყველგან შეხვედრებით ტრიბუნაზე შემდგარს: მირგოროდში — დავით გურამიშვილის საფლავის წინ თუ ტარას შევჩენკოს საიუბილეო საღამოზე კიევის აკადემიურ თეატრში, ბაქოში სამედ ვურღუნის თუ ერევანში — ეღიმე ჩარენცის საღამოზე. ყველას თანაბრად უნაწილებს მეგობრობისა და ძმობის გაუხუნარ ფერებსა და გრძნობებს. მას უამრავი მეგობრები ჰყავს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. მისი ყოველი გამოჩენა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ზეიმად იქცევა ხოლმე.

კარლო კალაძემ საინტერესო გზა გაიარა, როგორც პოეტური სიტყვის ოსტატმა. საკმარისია ამ მხრივ ერთმანეთს შევადაროთ პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები — მხედველობაში მაქვს კარლო კალაძის „ძახილი აღმოსავლეთს“ და „ფიქრები“. პირველი დაწერილია 1925 წელს, ხოლო მეორე ოცდაათი წლის შემდეგ. პოეტური ტკივილები, „სევდიანი და დარდიანი“ სტროქონები, პოეტური დაფიქრებაც და აღმოჩენებიც უფრო ძლიერია ამ პოემაში, ვიდრე ადრინდელ მის ლექსებში. თუ ადრინდელში ჭარბობდა პუბლიცისტური ნაკადი, აქ უფრო ამღერებული და მელოდიური პოეტური სიტყვა და ფრაზა, აქ დაეჭვებაც მეტია და ტკივილიც: „ჩემო დამწვარო იღბალო, რა ხარ, ვერც ხმას გაიღებ... ვერც დავდუმდები... ვინ გაყო ორად ჩვენი წუხილი და სიხარულიც ვინ გაყო ორად... სხვა საქართველო სად არის? — სხვა საქართველო შორსაა, შორსაა საქართველოდან“... საბჭოთა პოეტი თავისი ქვეყნის სიამაყის გრძნობით ხუთავს ამ პოემას: „სიახლე, რაც კი საქართველოს მოეპოვება, მე ამ სიმართლის გამარჯვებას მით უფრო ვხედავ, როცა სხვა ქვეყნის მივიწყებულ გზებს გადაკვეთავ“...

ვუსურვოთ 80 წლის კარლო კალაძეს კვლავაც ამშვენებდეს ქართულ მწერლობას თავის განუმეორებელი მოქალაქეობრივი და პოეტური კოლორიტით, კვლავაც მრავალჯერ ეზიმოს გაზაფხულის მობრძანება თბილისში.

სერგი ჭილაია.





გამოფენის ექსპონატები.

ამას წინათ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. მოხდა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი: რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალებით სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ზ. წერეთელმა პარიზიდან ჩამოიტანა და მუზეუმს საზეიმო ვითარებაში გადასცა ფელიქს ვარლამიშვილის ათი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. ამას წინ უძღოდა სამუშაური ამბავი, რომელიც მხატვრის მეუღლემ შეგვაცნობინა: ფელიქს ვარლამიშვილი 1986 წლის 6 თებერვალს გარდაიცვალა. აქვე ქალბატონი ზორე ვარლამიშვილი კრძალვით გვთხოვდა, შეგვესრულებინა მხატვრის უკანასკნელი სურვილი და მიგვეღო მისი სურათები. საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა სასოებით ჩაიბარა ისინი და შეუერთა ჩვენს დიდ ეროვნულ საგანძურს. მხატვარი მეორედ დაიბადა. კიდევ ერთი ძვირფასი ნეშტი დარჩა უცხო მხარეში, ხოლო მისი ნაღვაწი, სულის ნაწილი მხატვრისა სამშობლოს დაუბრუნდა.

მხატვრის ეს სურვილი უკანასკნელიც იყო და მთელი სიცოცხლის მანძილზე გულის სიღრმეში ნატარებიც. ჩამოტანილი სურათებიდან ყველა ქართულ თემაზეა შექმნილი, თანაც სხვადასხვა დროს. ეს ამაღლებული, პოეტური ნოსტალგიაა, სამშობლოს გახსენებაა მხატვრის მიერ, ხსოვნაა, რომელიც უცხოეთში გატარებულმა ათეულმა წლებმა ვერ წაშალა. იგი ყოველთვის ბევრს მუშაობდა, ბევრს და საკმაოდ სწრაფად ხატავდა, მაგრამ თითქმის არაფერს არ იტოვებდა, ყიდიდა ნამუშევრებს და ამით ცხოვრობდა (შემოსავლის სხვა წყარო მას არაოსდეს ჰქონია), ან გააჩუქებდა ხოლმე, გააჩუქებდა გულუხვად. შედეგრს ისე გაიმეტებდა, რომ არ დინახებდა. ეს ათი ნახატი კი არ მოუშორებია თავიდან. ეტყობა, თვითონვე მოსწონდა ისინი და ადრიდანვე ჰქონდა განზრახული მათი მეშვეობით სამშობლოში თავის გამოჩენა.

ფელიქს ვარლამიშვილს 1982 წლის მაისში შეეხვედი. მაშინ პარიზის ცენტრალურ საგამოფენო სასახლეში (გრან პალე) გამართული იყო სრულიად უნიკალური გამოფენა — „ოქროს საწმისის“ ქვეყანაში—ძველი ქართული ხელოვნება ხუთი ათასი წლის მანძილზე, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა პარიზელებსა და პარიზის სტუმრებს შორის. ამ გამოფენის ამბავი მივუტანე მხატვარს. მან უკვე იცოდა გამოფენის ამბავი, მაგრამ შეუძლოდ ბრძანდებოდა და არ ენახა. ბავშვური სიხარულით შლიდა ჟურნალებსა და გაზეთებს, რომლებშიც გამოფენის მასალები იყო დაბეჭდილი და რამდენჯერმე გაიმეორა, უსათუოდ ენახავო. ტანმორჩილი კაცი იყო, ნათელი სახისა, ფეიმკრთალი, რბილი ნაკვთებით და საოცრად ცოცხალი თვალებით. ცოტას ლაპარაკობდა, იმერულად უქცევდა. მასზე და მის შემოქმედებაზე საუბარს აშკარად თავს არიდებდა, მაგრამ ასეთ დროს შეუღლე და იქვე მყოფი მათი ოჯახის მეგობარი, ფრიად სიმპათიური ხანდაზმული ქართველი კაცი ჩაერეოდნენ ხოლმე საუბარში და ისინი უპასუხებდნენ დასმულ კითხვებს. მხატვარი დროდადრო მხოლოდ კვერს უკრავდა მათ. მათივე მეშვეობით ვნახე მისი ნამუშევრები — სულ 12, რომლებიც იქვე, კედელზე იყო მიყუდებული და მცირეოდენ საოჯახო ნივთებთან ერთად ისე ავსებდნენ მის ერთ ციცქნა სახელოსნოს, რომ გასანძრევი ადგილი აღარ რჩებოდა.

ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევრები ადრეც მენახა სხვაგან, მაგრამ 80 წლის მხატვრის მიერ შესრულებულ ამ სურათებში უფრო მკაფიოდ ჩანდა ხაზისა და ფერის ნამდვილი ვირტუოზულობა, საგნებისა და მოვლენების თავისებური ხედვა და უსაზღვრო ფანტაზია... ფრიად ესიამოვნა როცა ვუთხარი, რომ მის შემოქმედებას განსაკუთრებული ინტერესით ვეკიდებით საქართველოში, რომ საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა უკანასკნელ წლებში თბილისში, მისი ძველი მეგობრების ოჯახებისაგან შეიძინა მისი რამდენიმე ადრეული ნაწარმოები

დედაქალაქის

საგამოფენო დარბაზებში

დაბრუნება

და რომ გვინდა დიდი გამოფენა მოვაწყოთ ჩვენი მუზეუმის დარბაზებში. გაიხარა, მაგრამ როგორც იკი გაიგო, რომ ამისათვის ასი სურათი მაინც იქნებოდა საჭირო, უცბად გუნება შეეცვალა, ამ ბოლო დროს რასაც ვაკეთებ, ერთ სურათებით მოვაჭრეს ვაძლევ, ეს ყიდის და მათი გამოფენისათვის შეკრება შეუძლებელიაო. ამაზეც, რაც აქ ნახეთ, მომავალ კვირას წაიღებენ და შესაძლოა მათს გზა-კვალს ვეღარც კი მივაგნოო. და ბოლოს, გადმოიღო თავისი პატარა კატალოგი, რამდენიმე ფოტო-ანაბეჭდი საკუთარი ნამუშევრებისა, თითოეულს დაწერა „თბილისის მუზეუმისათვის“ და მაჩუქა. ეს იყო სწორედ ანაბეჭდი იმ ათი სურათისა, რომლებიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა მიიღო მხატვრის გარდაცვალების შემდეგ და მისი ანდერძის შესაბამისად.

გამოფენა მაინც შედგა, იგი 27 მარტს გაიხსნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ათ სურათს დაემატა მხატვრის მიერ თბილისელი ნაცნობ-მეგობრისათვის ნაჩუქარი რამდენიმე ნამუშევარი, დაემატა ხელოვნების მუზეუმში დაცული ნახატები და ასე გამოიკვეთა უაღრესად საინტერესო სახე მხატვრისა, რომელსაც ბედის უკუღმართობა რომ არა, შეეძლო სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაემკვიდრებინა თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაში. დღესდღეობით კი, სამწუხაროდ, მისი ბიოგრაფიაც კი არ ვიცით სრულად.

ფელიქს ვარლამიშვილი დაიბადა 1903 წელს ქუთაისში. იქვე დაამთავრა რეალური სასწავლებელი და 1920 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტზე, მაგრამ აქ დიდხანს არ უსწავლია. ბავშვობიდანვე ხატვით იყო გატაცებული და 1922 წელს, როგორც კი თბილისში სამხატვრო აკადემია გაიხსნა, იქ გადავიდა სასწავლებლად. მალე გამორჩა თანატოლებს შორის ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით. ფელიქს ვარლამიშვილის ამ დროის ნამუშევრებიდან საკმაოდ ბევრი შემოგვრჩა — ძირითადად ფანქრით შესრულებული ჩანახატები, პორტრეტები, რომლებშიც კარგად ჩანს მხატვრის მახვილი თვალი, გაწაფული ხელი, ხაზისა და ფორმის ფლობის შესანიშნავი უნარი, პიროვნების გარეგნული იერისა და ხასიათის გადმოცემის სიზუსტე, ერთი სიტყვით, კარგი აკადემიური წრთობა მხატვრისა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ თანამედროვენი.

გამოფენაზე უსათუოდ მიიქცევს ყურადღებას ფელიქს ვარლამიშვილის ამ დროის ერთი ფერწერული ნამუშევარი — მოხუცი ქალის პორტრეტი. უჩვეულო კომპოზიცია — ადამიანის სახით მთლიანად „გაჭედილი“ სასურათო სიბრტყე, ფართო მონასმებით დატეხილი ფორმა და ფერთა თამამი შეხამება მეტად ექსპრესიულს ხდის გამოსახულებას. აშკარაა, რომ მხატვარი ახალ, ორიგინალურ გამომსახველობით ხერხებს ეძებდა, ხელოვნების არსისა და აზრის თავისებურად ახსნას ესწრაფვოდა, საკუთარი გზის გაკვლევას ლამობდა და, ალბათ, ამან გადაადგმევინა ცხოვრებაშიც ისეთი, ახალგაზრდულად გაბედული ნაბიჯი, რომელიც მისთვის შეუქცევადი აღმოჩნდა. 1928 წელს იგი პარიზს გაემგზავრა და მას შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

მრავალგვარი გაჭირვებისა და განსაცდელის გადალახვის შემდეგ პარიზში ჩასული ახალგაზრდა მხატვარს ჯერ საარსებო საშუალების გამონახვა გაუჭირდა საზრუნავად. მონპარნასზე დამკვიდრდა, მაგრამ მხატვართა მექა, სადაც მათს ოცნებებსა და რეალობას შორის ზღვარი იშლება, ვარლამიშვილისთვისაც, ისევე როგორც მრავალთათვის, ლმობიერი არ აღმოჩნდა. სწავლა უნდოდა, მაგრამ ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. საკუთარ თავს მინდობილი, გულმოდგინედ მუშაობდა და მიაღწია კიდეც საწადელს. 1933 წელს გამოფენა მოაწყო პარიზის ერთ-ერთ პატარა გალერეაში (სპერანცა). პარიზში გაჩნდა მხატვარი ფელიქს ვარლა, მაგრამ მის გამოჩენას განსაკუთრებული რეზონანსი არ მოჰყოლია. დაოჯახდა, შეირთო მხატვარი ქალი ზორე ბინდერი, წარმოშობით დანიელი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულ მეგობრად ედგა მხარში. ბევრი იმოგზაურა, მოიარა ევროპისა და ამერიკის მრავალი ქვეყანა. რამდენიმე წლის მანძილზე არგენტინაში ცხოვრობდა, სადაც საკმაოდ გაითქვა სახელი, მაგრამ მაინც პარიზს, მონპარნასს დაუბრუნდა.

საფრანგეთში ყოფნის პირველ წლებში ფელიქს ვარლას შემოქმედებას უმთავრესად ქართული თემები ასაზრდოებდა. უფრო მეტიც, მის ნამუშევრებს გარკვეით ეტყობა ფიროსმანისა და გუდიაშვილის გავლენა, მაგრამ შემდეგ ვარლასათვის ტრადიციას — არც ქართულს და არც მით უფრო, უცხოურს — არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონია. მან საკუთარი ესთეტიკური კონცეფცია, თემატიკა, მანერა, სტილი შეიმუშავა, რაც საკმაოდ ნათლად ვლინდება ამკამად ხელოვნების მუზეუმში გამოფენილ მხატვრის მცირეიცხოვან ნამუშევრებშიც. მისი ელეგანტური, გაწონასწორებული, მშვიდი, დეკორაციული, მსუბუქი კომპოზიციების მეტი ნაწილი სპოჯახო ინტერიერისთვის არის გამიზნული (ხელოვნების ეს ფუნქცია მცირე ჰოლანდიელების შემდეგ იშვიათად თუ ახსენდებათ ხოლმე მხატვრებს). მშვენიერების ამგვარი „კამერული“ განცდის საფუძველს, რა თქმა უნდა, თემა და მისი გაგრება იძლევა: ნადირობა, სოფლის სცენები, ძველი სასახლეები და ციხესიმაგრეები, მოძრაობაში გარინდებული ადამიანები და მათი დაუკონკრეტებელი სახეები, მრავალგვარი რაკურსით წარმოდგენილი ცხენები, ბავშვური და ამავე დროს ნატიფი ხაზი, ფერი- — ზოგჯერ ერთი, მაგრამ სხვადასხვა ტონალობისა, ზოგჯერ კონტრასტული და საოცრად ღრმა, ინტენსიური — იდილიური განწყობილებას ქმნის, რომელსაც სევდაც ახლავს, სევდა, რომელიც ვარლას შემოქმედებას ბოლომდე გასდევს.

ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევრები ბევრგან და მრავალჯერ ყოფილა გამოფენილი: პარიზში (სამჯერ), მონტე-კარლოში, სან-ფრანცისკოში (სამჯერ), ლეტროიტში, ნიუ-იორკში, ბუენოს-აირესში (ორჯერ), ბელგიაში, ტოკიოში და იაპონიის სხვა ქალაქებში. ვარლა იყო პარიზის საშემოდგომო სალონის ხშირი მონაწილე. მისი სურათები ინახება ამერიკის მრავალ ქვეყანაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ირანში, იაპონიაში, ავსტრალიაში, და, რაღა თქმა უნდა, საფრანგეთში, სადაც მისი რამდენიმე ნამუშევარი სახელმწიფომ შეისყიდა.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ბევრს ნიშნავს. ასეთი გეოგრაფია მსოფლიოს მრავალ სახელგანმქმედ მხატვარს შეშურდებოდა, მაგრამ ფელიქს ვარლა მათ გვერდით არ იხსენიება. იქნებ მისი სათანადოდ აღიარება მომავლის საქმედ რჩება? ყოველ შემთხვევაში, ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედებაში ეს პოტენციალი აშკარად დევს. მისი საოცრად პოეტური, ამაღლებული, რაფინირებული ხელოვნება ამას ნამდვილად იმსახურებს.

თამაზ სანიკიძე,
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

მურმან ჯგუბურია

შენ ძმა არა ხარ თოფის!..

ბექა კითხულობს... ცირუ
ხატავს მზესა და ყვავილს,
ალამოა და ცივი
სხდება ბალახზე ნამი,
სადღაც ბეღურა ყივის,
ეძებს გასათვეს ლამის,
შორს ორთქლშავალი კიკის,
რკინაც გაცოცხლდეს ლამის...

მიაქვთ ვაგონებს ტანკი...
(ვიგონებ ადრე ნანახს)
დროა, რომ შეკრას ბარგი,
დროა, წავიდეს მამა.

მამას ბიძები მიჰყვნენ...
ორმოცდაერთიც დადგა,
გამოუცდელნი იყვნენ
ახალგაზრდები რადგან,
სამივე ქერრში ჩაკვდა,
სამივე ერთად ჩაკვდა,
და ქერჩი მძაგდა ისე,
ვით არაფური მძაგდა.

მაინც გამოცხვა, როგორც
იტყვიან, ობლის კვერი,
თუმც ვამი ოკრობოკრო
მოგვექცა, როგორც შტერი,
სული ტკბილია, ოქრო,
ცოცხალი კაცი მღერის,
ხშირად ვიგონებ ოქუმს,
სითაც გავიქერი შერმისს,
გამოკეტილ სახლს, ბოქლომს,
და გაუქმებულ ფერმას.

სოფლიდან—ქალაქს, სოფელს—
დიდი ქალაქის ხედით,
ხშირად შეიერავს კოპებს
ჩვენი კაპახი ბედი,
თუმცა, ღმერთია მოწმე,
სხვა არა გვინდა მეტი,
თავშესაფარი გვქონდეს
და საკენკავი ფეტი.

დღეს სახლი მიდგას... ცოლი ❤
მყავს და ხუთი გვყავს ბარტყი,
ლექსს ვუკირკიტებ ხოლმე,
როს შემინდდება დარდი,
გაზეთს ვკითხულობ, რომელს
აფიქრებს ცოდვა-მადლი
და კილავს ქვეყნის ომებს
ჩვენი შვილების ხათრით.

ორად გაიყო მიწა
სხვადასხვა აზრთა გამო,
არის სხვადასხვა რიცხვი,
არის სხვადასხვა ჯამი.
კაცი მშრომელი იღვწის,
მუქთახორები ჭამენ,
რისთვის, მითხარი, რისთვის?
ფიქრობ დღითა და ღამით.

ვეღარ ისწავლა ჭკუა
ადამიანის შვილმა
და მართალსა და მტყუანს
ერთფრად ასველებს წვიმა,
მაგრამ სიმართლე თუ,
რაც მზესავით ბრწყინავს,
შენ ვის გაპყვები, მურმან,
ვის დაისახავ წინა,
ბუში მრავალი ბზუა,
შენ კარგად იცი, ჯიმა,
ფუტკართან ყველა სტყუა
და უსაქმურად ფრინავს.

ყველას თავისი თავი
ჰგონია ქვეყნად ბრძენი,
ვინ ქრისტიანი არი,
ვინ მიმდევარი „ძენის“,
ბუდას მოძღვრების დამცველს
არა აქვს ქრისტეს რწმენა,
მაპმადიანი კაცი
თავისას შესთხოვს ზენარს,
ყველა თავისას ფიქრობს,
ყველას თავისი სჯერა.

ერთი იგონებს ატომს,
ხოლო მეორე — პერშინგს,
ულრენს მეზობელს სამტროდ
და დედამინჯას ერჩის.
ბალახს ჭრიან და ლორთქო
ბალახი ისევ მოდის
სიცოცხლეს როგორ მოსპობ,
გლერტას ვერ სჯაბნის ლოდიც,
ვკითხოთ ამირანს, როსტომს,
რისთვის იბრძოდნენ, როდის,
ვკითხოთ ჰომეროსს, დანტეს,
რუსთაველსა და ნიზამს,
ცისა და მიწის დამტევს,
უმაღლესობას მისას,
ვკითხოთ სერვანტესს, პუშკინს,
გოეთესა და ლი ბოს, —
უცხო ცელს თუ აქვს ნება
სხვისი ბალახი თიბოს.

შენ ძმა არა ხარ თოფის,
შენ ხარ მამულის მწყემსი,
ზვარში ტრიალებ თოხით
და ჩიტის სტვენა გესმის,
ვენახს არ უყვარს კოხი,
შიშით შეპყურებ ზეცას,
რომ საკუთარი ოფლით
მონაპოვარი გეცვას,
შენ შენსას უვლი სოფელს,
შენს უკირკიტებ მესერს,
ზარავს, ეშმას და ოხერს
შენი ცხოვრების წესი.

ბექა კითხულობს... ცირუ
ხატავს მზესა და ყვავილს,
ალამოა და ცივი
სხდება ბალახზე ნამი,
სადღაც ბეღურა ყივის,
ეძებს გასათვეს ლამის,
შორს ორთქლშავალი კიკის,
რკინაც გაცოცხლდეს ლამის...

საბჭოთა მედიკოსების აღმოჩენა

უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტაშკენტის სამედიცინო ინსტიტუტის მეცნიერებმა ქ. ა. ზუფაროვმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. მ. გონტმახერმა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ი. იულდაშევმა აღმოაჩინეს, რომ თირკმელის მნიშვნელოვანი თვისება აქვს — ხლეჩს ექსოგენურ ცილებს წვრილი ნაწლავიდან სისხლში მათი შეწოვის დროს. მედიცინის დარგში ეს აღმოჩენა 26 მარტს რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა.

ი. პ. პავლოვის მიერ გამოვლენილი საჭმლის მონელების ძირითადი კანონზომიერებანი დღეს კიდევ უფრო ვითარდება. ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და ელექტრონული მიკროსკოპიის წარმატებების მეოხებით დადგინდა ღრუსმიერი და მემბრანული საჭმლის მონელების, ნაწლავების უჯრედების მეშვეობით სისხლში მონელებული საბოლოო პროდუქტების ტრანსპორტირების მექანიზმები. ცხოველესა და ადამიანებში გამოკვლეული ეს მექანიზმები ვრცელდება ყველა ასაკობრივ პერიოდზე. მიუხედავად ამისა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ახალი მონაცემები გაჩნდა.

ტაშკენტელმა მეცნიერებმა პირველად აღმოაჩინეს და დაამტკიცეს, რომ მჭიდრო ფუნქციური კავშირია ახალშობილთა საჭმლის მონელებელ და გამომყოფ სისტემებს შორის ძუძუს წოვების მთელი პერიოდის მანძილ ზე. თურმე, საჭმლის მონელების ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ორგანოები ვერ ხლეჩენ საკმარისად საჭმლის (რძის) ცილებს, ამიტომ ისინი სპეციალური მექანიზმების დახმარებით გადადიან ლიმფურ და სისხლძარღვთა სისტემაში. საჭმლის გაუხლეჩავი ცილები, რომლებიც სისხლში ცირკულირებენ, აღწევენ თირკმელებს და აქ ისლიჩებიან საბოლოო პროდუქტებად — ამინომჟავად.

ეს ნივთიერება კვლავ ხვდება სისხლში და მას ორგანიზმი იყენებს. მაშასადამე, თირკმელს ძუძუს წოვების პერიოდში, ძირითადი ფუნქციების გარდა, ეკისრება განსაზღვრული როლი საჭმელში შემცველი ცილების გახლეჩაში. ეს ძირეულად ცვლის მეცნიერულ წარმოდგენას ახალშობილთა საჭმლის მონელების შესახებ.

დედის რძე ყოველი ადამიანისა და ცხოველისათვის უნიკალური და უნივერსალური პროდუქტია, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალურ ზრდასა და განვითარებას. საბჭოთა სწავლული მედიკოსების აღმოჩენა ხსნის მიზეზს, თუ რატომ უთავდდებათ თირკმელები ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს, რომლებიც იღებენ მასაზრდოებელ ნაზავებს, რომლებიც ბიოლოგიურად დედის რძის იდენტური არ არის. აღმოჩენის ძირითად დებულებებს გამოიყენებენ ბავშვებისათვის ხელოვნური ნაზავების შემუშავებისას, აგრეთვე ბავშვთა სნეულებების მკურნალობისას და ვეტერინარიაში.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

ამწე-გიგანტი

სსრკ. ასეთი ამწეები ჩვენს მრეწველობას ჯერ არ გამოუშვია. „კა-8471“ ჰიდროავლიკურ ამწეს შეუძლია 48 მეტრ ს

დედაო ენავ!..

ᲣᲛᲐᲦᲔᲚ ენას თავისი სპეციფიკა, საკუთარი ბუნება, თავისი წესი და რიგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი ზნე და ხასიათი აქვს; სხვა ხალხების ენათა ცოდნა ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ ამან ჩვენს წერასა და მეტყველებაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს და დედაენის ბუნება არ უნდა გადაგვისვიფეროს.

ჩვენს დაუკვირვებლობას შედეგად ბევრი ენობრივი სიმახინჯე მოსდევს. ერთი იმათგანი ის არის, რომ რაკი რუსულში **об этом уже знаю** გვაქვს, „ᲔᲑ“ გვავიწყდება და ქართულად ვწერთ: „ამაზე უკვე ვიცი“ (ანდა: „ამის შესახებ უკვე ვიცი“. „ამაზე“ და „ამის შესახებ“ ერთი და იგივეა).

რომ ვთქვა, გახშირდა-მეთქი, ამით ვერ გამოვხატავ შექმნილ ვითარებას, — გახშირდა კი არა, ეთერშიც და ქაღალდზეც ქართულ წერასა და მეტყველებას სულ მთლად მოედო ეს სენი — სხვა ენებისა და ქართული ენის კანონთა განურჩევლობა.

ამას წინათ გაზეთში წავიკითხე: „მან კარგად იცოდა თავისი ქართული წარმოშობის შესახებ“. ისე გამოდის, თითქოს თავისი წარმოშობის შესახებ რამე იცოდა. დამწერს კი იმის თქმა უნდოდა, მან კარგად იცოდა თავისი წარმოშობაო, მეტი არაფერი!

გაზეთის იმავე ნომერში წავიკითხე: „მოჭადრაკემ სვლა ისე გააკეთა, რომ არ იცოდა პარტნიორის მოქმედების შესახებ“. უნდა იყოს: არაფერი იცოდა პარტნიორის მოქმედების შესახებ; ანდა: არ იცოდა პარტნიორის მოქმედება.

გაზეთიდანვე ამოვიწერე: „მითითებულია ტირაჟის შესახებ“. რა არის მითითებული? ალბათ თვითონ ტირაჟი! „ტირაჟი მითითებულია“ რომ ყოფილიყო, — აზრი ნათელი იქნებოდა.

აი რადიოთი მოვისმინე, „ქარხნის მუშაობაზე მოგითხრობთ ჩვენი კორესპონდენტი“ და გავიგე, რომ ქარხნის მუშაობაზე მოგვითხრობს, მაგრამ მაშინვე კითხვაც რომ დამებადა, ამას რაღა ვუყო! ვინ მითხრას, რას მოგვითხრობს! რომ მომესმინა: ქარხნის მუშაობაზე გესაუბრებათ ჩვენი კორესპონდენტი, ან ქარხნის მუშაობის ამბავს მოგითხრობთო, მაშინ არავითარი კითხვა აღარ აღმეძვრებოდა.

მახსოვს, გაზეთი წერდა, ყირილობაზე ჩვენს ამოცანებზეც ითქვაო! და გულში ვიქიფრე, ნეტავ რა ითქვა-მეთქი, მაგრამ მალე გუმანით მივხვდი , რომ ავტორს ალბათ უნდოდა დაეწერა, ყირილობაზე ჩვენს ამოცანებზეც იყო ლაპარაკიო (საუბარიო). დამაფიქრებელი ამბავია!

რაკი რუსულში **напоминаем о том** გვაქვს, ზოგი წერს ხოლმე, „იმაზე შეგახსენებთო“. ამიტომ აღარ გამკვირვებია, ერთი საგაზეთო ინფორმაცია რომ გვაუწყებდა, „განაჩენის შესახებ (ე. ი. განაჩენზე) ცალკე გაცნობებთო!“. შე დალოცვილო, ამის დამწერ ქართველ კაცს ქართული ისე როგორ უნდა გადაგიგვარდეს, რომ ვერ მითხრა, განაჩენს ცალკე გაცნობებთო?!.

„აჭარის მშრომელები უპატაკებენ ახალი წარმატებების შესახებო“! წარმატებების შესახებ (წარმატებებზე) უპატაკებენ ვინმეს სხვა რამეს? არა, არაფერს, სამშობლოს სწორედ ამას — წარმატებებს უპატაკებენ. დამწერიც ამასვე ფიქრობდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ერთი შეცდა, სხვა ენის კანონები ქართულში ბრმად გადმოიტანა, იმ ერთს ეკითხა: მიჰპაძა, მეორეს — მესამემ და მეოთხემ...

> **„ᲐᲛᲐᲖᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲘᲪᲘ“ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, „ᲐᲖᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲘᲪᲘ!..“**

ვწერთ ხოლმე „კრებაზე შენზეც (შენს შესახებაც) აღინიშნაო“, და ის კი გვავიწყდება, რომ უხინჯო ქართულით ეს ასე ითქმის: კრებაზე შენზეც ილაპარაკეს; შენზეც იყო ლაპარაკი (საუბარი); გვავიწყდება ხოლმე, რომ „ამის შესახებაც (ამაზეც) გაცნობებთ“ კი არ უნდა ითქვას და დაიწეროს, არამედ: ამასაც გაცნობებთ; ამის შესახებაც გაცნობებთ რამეს...

გაზეთი გვამცნობს: „ბევრჯერ გამეგონა მეხუზლაზეო“ და კვლავ გაუგებარია: რა გაეგონა ავტორს მეხუზლაზე? მერეღა მივხვდი: ალბათ მეხუზლას ამბავი, მეხუზლას სახელი გაეგონა! (ბოლოში ორი წერტილი რომ იყოს და ამას ის მოსდევდეს, თუ რა გაეგონა, მაშინ დასაწუნებელი რა იქნებოდა!).

სწორია, რომ ვამბობთ, „დადგენილების შესრულების შესახებ (შესრულებაზე) მინისტრთა საბჭოს უნდა მოხსენდესო? არა! შესრულებაზე სხვა რამე კი არა, თვითონ შესრულება უნდა მოხსენდეს! სწორია, „შეაღყუობინეთ ჩემი მოსვლის შესახებო“? არა! უნდა იყოს: ჩემი მოსვლა შეატყობინეთ?

აი გაზეთებიდან ამოწერილი ერთი-ორი მაგალითიც:

„ბავშვები მოჰყვებიან არდადეგების ამბავს და სპექტაკლებზეც იტყვიან“. რას იტყვიან? უნდა იყოს: ...ისაუბრებენ (მოჰყვებიან) არდადეგების ამბავს და სპექტაკლებზეც ილაპარაკებენ.

„ხომ არ გაიხსენებდი ამის შესახებ? ო, აქ კი ნამდვილად მწერვალს აღწევს მკითხველის გაოცება! ბავშვიც კი მიხვდება, რომ უნდა იყოს: „ხომ არ გაიხსენებდი ამას (ანდა: ხომ არ გაიხსენებდი რამეს ამისას; ამის თაობაზე).

და ვინ მოთვლის მაგალითებს! მაგრამ, მოდით, გაზეთში დაბეჭდილი ეს რამდენიმე სტრიქონიც განვიხილოთ: „ქორწინების ყამა საფლავზე მისვლა ძველქართული ხალხური სიბრძნის ნაყოფია, რაზეც ნ. კეცხოველმაც აღნიშნა“.

ქართველი ჟურნალისტი რომ იმის დაწერას ვერ მოახერხებს, რაც ნ. კეცხოველმაც აღნიშნაო (ანდა: რაზედ ნ. კეცხოველმაც ილაპარაკაო; რაც კეცხოველმაც თქვაო), აბა, უფრო საკვირველი რაღა უნდა იყოს!

და ბოლოს, ამისმაგვარი ენობრივი სიმახინჯეებიც მაგონდება: რომ ვწერთ ხოლმე, „კრებამ განიხილა საკითხი ჩემი მუშაობის შესახებო“; „უნდა წარმოადგინოთ მოწმობა დაბადების შესახებო“; „ცნობა თბილისში ჩაწერის შესახებო“ (და სხვა ამისთანებს), მართებულია ეს ფორმები? არა! უნდა იყოს: კრებამ განიხილა ჩემი მუშაობის საკითხი; უნდა წარმოადგინოთ დაბადების მოწმობა; თბილისში ჩაწერის ცნობა; ზოგიერთი ჟურნალის თავფურცელს „მორიგე ნომერზე“ კი არ უნდა „ეწეროს“, არამედ — ნომრის მორიგე.

ქართული ენის სიწმინდე, მისი ბუნებრიობის შეუბღალობა მოითხოვს აღიკვეთოს მცდარი ფორმები: „ფილმი მოგითხრობთ წრფელი სიყვარულის შესახებ“; „ფაბრიკის საქმიანობაზე მოგითხრობთ ჩვენი კომენტატორი“. და დამკვიდრდეს სწორი ფორმები: ფილმი მოგითხრობთ წრფელი სიყვარულის ამბავს. ფილმი გაგაცნობთ (გიჩვენებთ) წრფელ სიყვარულს; ფილმში ნაჩვენებია წრფელი სიყვარული; ფაბრიკის საქმიანობაზე გესაუბრებათ (ქარხნის მუშაობას გაგაცნობთ, ქარხნის მუშაობის ამბავს მოგითხრობთ) ჩვენი კომენტატორი.

ᲐᲚ. ᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

სამშობლოს კალთას ჩაჭიდებული

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲐᲫᲕᲡ ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ.

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ.

— **ᲒᲘᲭᲝᲡ,** შენა ხარ ის ყმაწვილი, ომგადახდილიაო რომ მითხრეს? მე კი უდავშადაგრეხილი, გაღიფე-შარვლიანი, ჩექმებიანი ახოვანი ვინმე წარმომედგინე. ასე პატარამ იომე?!

მორცხვად, უსიტყვოდ თავი დავხარე.

— პატარამ დიდი იომა, რა არ გადახდენია... — ჩაურთო მეორემ.

— მაშ, გაგვიგრძელებია ომი ამ ჩვენს პირველი საართველის დარაბაში... დაჯექი აგერ. შენ, როგორც მდივანმა, ყველაფერი უნდა იცოდე: აი, ეს ნოემბრის მაკეტია, მეთერთმეტე ნომრის. პირველი კორექტურა ჩავგზავნეთ, მეორე — ჩვენკ წავიკითხოთ... ეს გარეკანის მეორე გვერდი შენ გეღოდება: ვუამბოთ პიონერებს, რა იყო, რა გვაქვს, რა მოგვიტანა ოქტომბერმა. რატომ ჰქვიათ მათ „პიონერი“, მათს უმცროს და-ძმებს — „ოქტომბრელი“, რას ავადებს მათ ეს წოდება... დაიგიწყე, რომ დიდი ხარ, იქეთკენ ბავშვად, ოღონდ მათზე უფრო ჭკვიან და მეოდნე „ბავშვად“, და ესაუბრე მათ გასაგები, ხატოვანი ენით, მოკლედ...

ასე დაიწყო ჟურნალ „პიონერში“ ერთად მუშაობით რედაქტორ პოეტ გიორგი კაჭახიძესთან ჩემი ახალი ნაცნობობა, შემგომ მეგობრობაში რომ გადაიზარდა. აქვე მინდა ზემოთ ჩვენს დიალოგში ჩართული თანამშრომელიც ვახსენო — ჩვენგან აღრე წასული პოეტი და პროზაიკოსი დავით შამათავა.

გიორგი კაჭახიე სოციალისტური რეალიზმის თვალსაზრისით ქართული პროლეტარული მწერლობის ერთერთი პირველი მეგრეშის აღიო მაშაშვილი-მირეულიანის გავლებულ კვალში მავალი პოეტი გახდათ, თუმცა თავისი ორიგინალური ხმისათვის არასოდეს უღალატია. მამა-პაპა მხვნელ-მთესველი ჰყოლია, თავადაც, ყმაწვილკაკობაში, მხვნელ-მთესველი ყოფილა და მისი პოეზიაც, ვხადია, მიწის ოხშივარით ნაკვთ-ნასუნთქი შეიქნა. უფთიარაკო ცხოვრება გაუვლია. მისი „ფათერაკი“ მხატვრულ სიტყვასთან შეჭიდება იყო — კარგად იკოდა, მოსეულ მტერთან გამკლავება უფრო ძნელი არ არის, ვიდრე მხატვრული სახის შექმნაა, ისიც იკოდა, ვეშმარიტი მხატვრული სახის აღგილი რომ მწვერვალზეა მხოლოდ და მასთან თვით უახლოესი მეზობლობაც კი სახიფათოა, ვიცაბოზე ფეხის მოსაკიდებლად.

ამ სიზუსტით ცდილობდა იგი მუდამ წერას.

— თოხი არ ასვდება ხოლმე მიწას. თორემ, ვაი, მიზასს ავდენილ სიტყვასო. — იტყოდა ხოლმე გიორგი და დაუმატებდა: — მეყ ჩემებური გუთნისდედა ვარ:

ჩემი დღეების სიტყვის ჭაპანი არ გამიმართავს გაუბედავად. გუთანს მართავდნენ მამა-პაპანი, მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ.

და მკითხველმა იცის, რომ პოეტმა კაჭახიძემ აისრული საწადელი: **მსურს, მოსახვნელი მოვხვნა, ვიჩქარი, სანამ მომისწრებს სიდმე სიბერე, დროზე გავუღო ყველა ჭიშკარი ხალხში მიმავალ მართალ სიმღერებს.**

ადამიანი იყო იგი საღი, ვერ იტანდა უსამართლობას, ძალმომრეობას, ხოლო თუ ასეთს რაიმეს წაიწყდებოდა, მძიმედ განიკიდა, დაპარაკობდა მასზე ცხარედ, სახე წამოეჭარხლებოდა, თვალებიდან პირდაპირ ცეცხლს აფრქვევდა.

ხმელ-ხმელი, მაღალი, მუდამ ღრმად ჩაფიქრებული, მამა-პაპის თვალით მიწას ჩაციებული, თითქოს იმისგან ეღისო სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთ-სიბოროტის პრობლემათა ამოხსნას.

ყრმობაში შესულს სათქმელი რომ გასჩენია, მამა-პაპის ტრადიცია დაურღვევია და კაღამს „შესთამაშებია“, პირველი ლექსი ოცი წლისას დაუსტამბავს, თავისი შემოქმედების საპროგრამო ლექსი „ის უბანი და ის კარმიდამო“ — ოკდაოთხისას. ამ ლექსმა მომიმზადა ნიადაგი, რომ ჩემებური გუთნისდედა ვყოფილიყავ პოეზიაშიო, მქონდა ჩემი სახნავ-სათესი და სიოვოსხედედ ამოლერილი ჯეჯილი ყანად მექცია.

ნათქვამი მოვუწონე. და იგი ასევე ჩართო თავისი ერთ-ერთი ბოლო კრებულის ავტობიოგრაფიაში, რომელიც მოკლეა, მაგრამ საუკეთესო პროზაული ნაწარმოებად მიმაჩნია. იქვე ერთ ადგილას მისგან მოსმენილი მართალი სტრიქონიც ამოვიკითხე: ნაწარმოები მხოლოდ მაშინ მთავრდება, როცა მწეარი მიღის ქვეყნიდანო. მანამდე კი მას ავტორი მუდამ ცვლის, რანდავს, რამეს ამატებს, რამეს კიდევ აკლებსო.

ამ მართალი ნათქვამით თუ ვიმსჯელებთ, პოეტ გიორგი კაჭახიძის ნაწარმოებები დამთავრდა 1979 წელს, როცა იგი წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ რაც დარჩა, მარად ჯოცხლობს მკითხველთა გულში.

მისთვის მუდამ სასურველი სტუმარი იყო ავტორი რედაქციაში, ხოლო ნამდვილი ალმოჩენა — როცა ახალგაზრდა კარგ ლექს-მოთხრობას მოიტანდა — „ნახეთ, რა მოიტანა ამ კაცმაო“?.

ეფო ქიაჩელი, ნინო ნაკაშიძე, იღია სიხარულიძე ნაწერებს რომ მოიტანდნენ, სიხარულით კას ეწეოდა ხოლმე. ამაყობდა, იღია სიხარულიძის ღოღის ხმას აყოლებული ლექსის „ამ პატარას, იმ პატარას“ გამოქვეყნებით.

ერთხელ ერთი ზორბა ტანის ახალგაზრდა კაკი შემოვიდა დაფეთებული, აღელვებული, ხამი პერანგის ამარა ამ გვიანი შემოდგომის ღღეს: თიანეთიდან მოვდიოდით, ტყე რომ უნდა გაგვევლო, ჩვენს ავტობუსს სამი შეიარაღებული კაკი დაესხა და გაგვძარცვაო; მე, სხვა რომ ბევრი არაფერი გამაჩნდა, პიჯაკი გამხადესო. ეს ლექსი კი, მოიღეს მოწყალება, და უკან დაბრუნესო, უკაპიკოდ დავჩჩიო.

გიორგიმ დაზარალებულ მგზავრ-გრძნო, ჰონორარი [illegible] წერა, ხოლო მოწონებული ლექსი ჟურნალის მომდევნო ნომერში გამოუქვეყნა. მინდა მკითხველს მოვაგონო ის ახალგაზრდა — სამწუხაროდ, აღარ არის ცოცხალი — ვახტანგ ბეწუკელი — შემდგომში ცნობილი მთარგმნელი და გამომკვლეველი.

— უყურე შენ, — მითხრა მერე გიორგიმ დაზარალებული ახალგაზრდა კეთილად რომ გაისტუმრა, — ავტობუსში ხომ იქნებოდა ერთი ოცდაათი კაცი შოფრიანად. ვერაფერს კი ვერ გახდნენ სამ კაკთან, ვინაიდან ის სამი კაკი შეკრული იყო ერთი პირით, ის ოცდაათი კი — არა. ერთობა დიდი ძალაა...

წელს პოეტ გიორგი კაჭახიძის ორი მრგვალი თარიღი დაემთხვა ერთმანეთს — დაბადების 80 წელი და პირველი ლექსის დაბეჭდვის 60 წელი.

ამქვეყნად მოსვლის ღღიდან ჩემს ქვეყანაში ვტრიალებ, მიკრული ვარ მის მიწა-წყალს ისე, როგორც ბავშვია ხოლმე დედის კალთას ჩაჭიდებული, — წერდა გ. კაჭახიძე.

...არ უნდა მიეკვეს დავიწყებას პოეტი, იმის გამო, რომ თავის საქმეს თავზე აღარ ადგია. საქმეს მისი დანატოვარი წიგნები განაგრძობენ: **ხან სერს ვამწყვანებ, ხან სიტყვას ვრანდავ, ხან მომაგონებს ცხრა ცას ოფლება, — მაინც ამქვეყნად სამშობლოს გარდა, ჯერ არ მინახავს სხვა საოცრება.**

ᲒᲚ. ᲗᲝᲠᲓᲣᲐ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲐᲚᲛᲐᲖᲠᲔᲜᲐ

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე.

Ლ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲐᲡᲔᲒ ხდება: მოულოდნელად გამოჩნდება პასუხსაგები თანამდებობის ვაკანსია. დაიწყება ფიცარი კადრის შერჩევაზე, ძებნა ღირსეული კანდიდატურისა, რომლის ინტელექტის, პროფესიული ცოდნის, ადამიანის სულში წვდომის, მოთმინების, მაღალი კულტურის, მამულისადმი სიყვარულისა და თავგანწირვის იმედი გექნება. არ არის ადვილი სასურველი კანდიდატურის მოძებნა, რადგან ასეთი კაცი თავმდაბალია, მოკრძალებული, თვალში არ შემოგეჩხირება, ღირსეულად, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებით უჭირავს თავი...

სამაგიეროდ დაბარებულივით გამოჩნდება ბანი ანტიპოდი, მოგეახლება, წელში მოხრით მოგესალმება, პირფერობის ნისლში გაგხვევს, პირდაპირ არ გაგიმხელს გულისნადებს, გავარჯიშებული ალღოთი ჩაგაწვეთებს აზრს, რომ საქმის დიდი მოყვარულია, დაუზარელია, თუ ენდნენ, გაამართლებს... მაგრამ კოკებში შეატყობ, რა შეილიც ბრძანდება. ბუნებრივია, თავს იკავებ, თუმცა აკვირდები, იქნებ ანის ამ კაცში „რაციონალური მარცვალი“.

მას კი მოთმინება ეკარგება, წრიალებს...

ერთ ღილას აწკრიალდება ტელეფონის ზარი:

— გამარჯობა, მეგობარო, ხომ კარგად ბრძანდებით... დაგვიძველდა პურ-მარილი...

— ვინ ბრძანდებით, უკაცრავად, ხმაზე ვერ გიცანით...

— დიმიტრი გახლავართ, რაჭვიაშვილი. გაზსოვთ, ნიკიფოროვიჩის დაბადების ღღეს გვერდიგვერდ ვისხედით სუფრაზე?

— რაღაც... ვერ ვიხსენებ...

— აკი გითხარით, პურ-მარილი დაგვიძველდა-მეთქი. საწყენია, რომ ხშირად ვერ ვხვდებით... ჩემი ნათესავია თქვენთან, შაქრო ხელაძე, იმასაც ვეუბნებოდი, ეს რა დრო დაგვიდგა, სულ საქმე, საქმე და ერთმანეთს ვეღარ ვნახულობთ-მეთქი... ეგ ჩემი ნათესავი სულ თქვენს ქებაშია. თითქოს არ ვიცოდე, რა დიდი მოქალაქეც ბრძანდებით... ამას წინათ მიუბნეზობდა, კარგი ურთიერთობა გვაქვს, ხშირად მეძახის, დავალებებს მაძლევსო. გამიმხარია — შეიძლება სულ მალე უკეთეს თანამდებობაზეც გადამყვანონსო... თვითონაც დიდი მადლობელი დაგრჩებით, თუ ყურადღებას მიაქცევთ. ნამდვილად გაგიმართლებთ, საქმის კაცია, პუნქტუალურია, ანგარიშიანიც. მხარში ამოგიდგებათ. აი, მერე კი ხშირად შეავხვდებით... ნახვამდის, ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის!..

ყურმილს დებთ, გეღიმებათ.

...იქნებ არის მართლაც ამ კაცში... იქნება გამოდგეს, ისწავლოს... მაინც ეჯვობ, ტელეფონით ლაპარაკიც გახსენდება... საქმიანია, ანგარიშიანია... არა, ამ თანამდებობაზე სულ სხვა სულიერი წყობის კაცი უნდა მოიძებნოს, განათლება და კულტურაა საჭირო.

რამდენიმე ღღის შემდეგ კვლავ აწკრიალდება ტელეფონის ზარი:

— გამარჯობა, თემო, ბიჭო, რატომ აღარ მოდიხარ. არ მაფიქრებინო, რომ... ჯერ იმ ასაკისა არა ხარ, ჩემო კარგო... მე რომ მკითხო, მთელი სიცოცხლე გამყვება იმ შეხვედრების სიამე. ვბეღავ და გისაყვედურებ — არ შეიძლება ეგრე დავიწყება ძველი მეგობრისა, ძველი სიყვარულისა. პასუხსაგები თანამდებობა ვის არ ჰქონია, მაგრამ მეგობრებიც ხსომებიათ, მათთვისაც მოუცლიათ... თემო, გენაცვალე, ერთი თხოვნა კი უნდა შემისრულო შენ სიყვარულით გულანთებულ ქალს. მანდ, შენთან, სისტემაში, ჩემი ნათესავი მუშაობს, შაქრო ხელაძე. ზედმიწევნით იცნობ, ალბათ. მეეზმარეთ, დიდი შესაძლებლობის კაცია, გამოიყენეთ, რაღაც ადგილიც გეონიათ. მაგაზე სანდო კადრს თქვენთან ვერ მონახავთ, გეფიცებითო...

ფიქრი ფიქრს მოსდევს. ჯერ ერთი, უვიცი და ქარაფშუტაა ეს მაქრო. ამასთან, თავზედი და კადნიერიც ყოფილა. არა, იგი არ გამოდგება, კოლექტივს არევს, გეგმებს ჩამიგდებს, შემარცხვენს უფროსებთან... არადა, ვინ დავინიშნო იქ?!

ერთი კვირის შემდეგ კვლავ აწკრიალდება ტელეფონის ზარი:

— გისმენთ!..

— ბოლომდე მომისმინეთ! რატომ აჩერებთ ამდენ ხანს ვაკანსიებს. ყველა რგოლს თავისი ხელმძღვანელი უნდა. გატყობთ, მოისუსტებთ კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში. გეკითხებით, მოაბამთ თავს საქმეს, თუ გავატარო შესაბამისი ღონისძიებანი!..

— ხვალე იქნება, სამსონოვიჩ...

— ბრძანებას დაწერთ თუ არა, მომახსენეთ!..

ბრძანება იწერება. შაქრო ხელაძე სავარძელში გაიჭიმება.

შენივე სისუსტით დამცირებული ხარ... ფიქრს ფიქრი მოსდევს: „ცხოვრებას მკაცრი ღოგიკა აქვს. კოლექტივი პირველ ღღეებშივე იგრძნობს, როგორი ხელმძღვანელი მივიდა... სანატრელია განათლებული, საქმის მცოდნე, კარგი ორგანიზატორი, კაცთმოყვარე, პატიოსანი და კულტურული ხელმძღვანელი. არადა, ჰოი, ცოდვანო უმეცრებისაო, იწყება ტანჯვა თითოეულისა, ღღეები უხალისო შრომისა... მომრავლდებიან მწერალნი „ანონიმკების“, ვიდრე წყალი არ შეუღდება სავარძელსა!.. ჯერ იმისა... მერე კი ჩემსა!..

ᲐᲚ. ᲓᲘᲓᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ᲛᲔᲗᲝᲓᲘ

ხშირად შეხვდებით... ნახვამდის, ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის!..

ყურმილს დებთ, გეღიმებათ.

...იქნებ არის მართლაც ამ კაცში... იქნება გამოდგეს, ისწავლოს... მაინც ეჯვობ, ტელეფონით ლაპარაკიც გახსენდება... საქმიანია, ანგარიშიანია... არა, ამ თანამდებობაზე სულ სხვა სულიერი წყობის კაცი უნდა მოიძებნოს, განათლება და კულტურაა საჭირო.

რამდენიმე ღღის შემდეგ კვლავ აწკრიალდება ტელეფონის ზარი:

— გამარჯობა, თემო, ბიჭო, რატომ აღარ მოდიხარ. არ მაფიქრებინო, რომ... ჯერ იმ ასაკისა არა ხარ, ჩემო კარგო... მე რომ მკითხო, მთელი სიცოცხლე გამყვება იმ შეხვედრების სიამე. ვბეღავ და გისაყვედურებ — არ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲐ - ᲜᲘᲨᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციამ გამოაცხადა რესპუბლიკური კონკურსი სახელმწიფო მიღების სამსახურის მიერ მიღებული პროდუქციის აღმნიშნელი ემბლემა-ნიშნის შექმნისათვის (საფუთავი, იარლიყი).

დამტკიცებულია კონკურსის ჟიურის შემადგენლობა. მასში შედიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები.

კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები: ერთი პირველი პრემია 600 მანეთის ოდენობით, ორი მეორე — 300-300 მანეთის, სამი მესამე — 200-200 მანეთის ოდენობით.

კონკურსის პირობების თანახმად, ემბლემა-ნიშანმა სამბოლოურად უნდა გამოხატოს პროდუქციის ხარისხის გარანტია, გამოირჩეოდეს მხატვრული ეფექტურობითა და სისადავით, იძლეოდეს ამის საშუალებას, რომ იგი გამოისახოს როგორც ტრაფარეტის, ისე ელექტროქიმიური ტვიფვრის მეშვეობით.

ნამუშევრები უნდა წარმოუდგინოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას მიმდინარე წლის 20 მაისამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, 380019, აკაკი წერეთლის პროსპექტი, №118, კონკურსისათვის.

საკონკურსო მასალები უნდა წარმოადგინოთ დეკეზინი, 40X40 სანტიმეტრი ზომის პლანშეტით. დაბეჭდილ კონვერტში ჩადებული უნდა იყოს ნიშნის ავტორის (ავტორთა) სრული მონაცემები, 20X20 სანტიმეტრი ზომის პლანშეტის ფოტოპირი 4 ეგზემპლარად. შესრულება — შავ-თეთრი.

ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას; ტელეფონი: 34-74-87.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

29 მარტი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — გადაცემა ფრუნზედან. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — სპორტლოტო. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — „მოწოდება“. ტელეჟურნალი. 13.00 — ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — „ამხანაგი სიმღერა“. 16.35 — „ხუმრობით და სერიოზულად“. სატირული გადაცემა. 17.20 — მხატვრული ტელეფილმი „რობოტებთან ხუმრობა არ გარგებს“. 18.40 — მულტ-

ფილმი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — „თქვენთვის, ვეტერანებო!“. მუსიკალური პროგრამა. 20.30 — კინოპანორამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. VII სერია. 23.50 — საფეხბურთო მიმოხილვა. 0.40 — საჭადრაკო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მხატვრული ფილმი „მონტის მესამე მხარე“. 10.35 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძური. ი. სტრავინსკი. 11.10 — რუსული მეტყველება. 11.40 — ლატვიის ტელევიზიის პროგრამა. 13.00 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 14.00 — ადამიანის ინსტიტუტი. მამაკაცი და დედაკაცი. 15.00 — მულტფილმი. 15.30 და 21.15 — სპორტული ტანვარჯიში. 16.15 — ანატოლი ეფროსის სპექტაკლები. „კუნძულები ოკეანეში“. 19.00 — ფეხბურთი. „სპარტაკი“ — „არარატი“. 20.45 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ეიპატიჟებათ თეო ადამი“.



29 მარტი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბელუგა“. 10.05 — დილის კონცერტი. 10.55 — საკვირაო გამოფენა. რ. იაშვილის ნამუშევრები. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოფიში. 12.00 — ხალხური შემოქმედება. „სიმღერის შესწავლა“. 12.30 — საკვირაო გამოფენა. რ. იაშვილის ნამუშევრები. 12.35 — მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების გამო. სბავშვო სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. ქართული მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“. 13.45 — სპორტული პროგრამა. 14.00 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 14.30 — საკვირაო გამოფენა. რ. იაშვილის ნამუშევრები. 14.35 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 15.10 — ვესტნიკი. 15.40 — პოეზიის საღამო საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლეში (ვანშეერთები). 16.40 — „მოდა გვთავაზობს“. 17.30 — საკვირაო გამოფენა. რ. იაშვილის ნამუშევრები. 17.35 — „ეინოხილვები“ — ნ. კრიუჩკოვი. 18.20 — კონცერტი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — კალათბურთის ვარსკვლავები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ლიტერატურული გადაცემა — „კარლო კალაძე 80 წლისაა“. 23.50 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06849 **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14, ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ. ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲕᲔᲚᲘᲡ 29.** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲨᲔᲮᲒᲣᲠᲗᲘ. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის 2 მატჩი. გთავაზობთ დედგებს: „ზენიტი“-ცსკა — 1:0, მოსკოვის „ტორპედო“-„გურია“ — 1:0. დღეს ამ ტურის დანარჩენი მატჩები გაიმართება: „ყაირათი“ უმასპინძლებს მოსკოვის „დინამოს“, „ყალგირისი“ —! „მახტორს“, მინსკის „დინამო“ — „დნეპრს“, კიევის „დინამო“ — „ნეფთჩის“, „სპარტაკი“ — „არარატს“, „მეტალისტი“ — თბილისის „დინამოს“.

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲘ. თბილისსა და ზაპოროჟიეში დამთავრებული უმაღლ